

# საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №423

2016 წლის 2 აგვისტო

ქ. თბილისი

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ.თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

### მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულება №1 დანართის შესაბამისად;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესი №2 დანართის შესაბამისად.

### მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესის და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის №108 ბრძანება.

### მუხლი 3

1. 2016 წლის 1 ნოემბრამდე:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორში (შემდგომში – იზოლატორი) ვიდეომეთვალყურეობის წარმოება დასაშვებია იზოლატორში მოთავსებული პირებისა და იზოლატორის მოსამსახურეთა უსაფრთხოების, იზოლატორში მოთავსებული პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის აღკვეთის, იზოლატორებში სამართალდარღვევების პრევენციის, აგრეთვე იზოლატორის მუშაობასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე მონიტორინგის ეფექტიანად განხორციელების მიზნით;

ბ) იზოლატორში ვიდეომეთვალყურეობის განხორციელება დასაშვებია იზოლატორის სამორიგეო ოთახებსა და დერეფნებში, სადაც განთავსებულია საკნები;

გ) დეესკალაციის ოთახებსა და იზოლატორის სხვა ადგილებში ვიდეომეთვალყურეობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ცალკეულ გამონაკლის შემთხვევებში, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანხმობით;

დ) იზოლატორში ვიდეომეთვალყურეობის სისტემა განთავსდეს ისეთი განლაგებით, რომ შესაძლებელი იყოს იზოლატორში მყოფი პირების ვიზუალურად დანახვა და იდენტიფიკაცია;

ე) იზოლატორში ვიდეომეთვალყურეობის მონიტორინგი განხორციელდეს სპეციალურად გამოყოფილ ოთახში;

ვ) იზოლატორის უფლებამოსილი მოსამსახურე ვალდებულია აღრიცხოს ნებისმიერი ტექნიკური შეფერხება (ელექტროენერჯის გათიშვა ან არასტაბილურად მიწოდება, ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დაზიანება ან მისი მწყობრიდან გამოსვლა და სხვ.), რამაც გამოიწვია ვიდეომეთვალყურეობის წარმოების შეფერხება და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს იზოლატორის უფროსს;



ზ) ვიდეომეთვალყურეობის სისტემის (კამერები) დამონტაჟების ადგილზე განთავსდეს ვიდეოგადაღების მიმდინარეობის გამაფრთხილებელი ნიშანი.

2. 2016 წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტმა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან კოორდინაციით უზრუნველყოს იზოლატორში ვიდეომეთვალყურეობის სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. ეთხოვოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაში ტექნიკური მხარდაჭერა.

#### **მუხლი 4**

1. ეს ბრძანება, გარდა პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული შინაგანაწესის მე-10 და მე-11 მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული შინაგანაწესის მე-10 და მე-11 მუხლები ამოქმედდეს 2016 წლის 1 ნოემბრიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა  
მინისტრი

გიორგი მღებრიშვილი

დანართი №1

### საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულება თავი I ზოგადი დებულებანი

#### **მუხლი 1. რეგულირების სფერო**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) დროებითი მოთავსების იზოლატორების (შემდგომში – იზოლატორი) ტიპური დებულება (შემდგომში – დებულება) განსაზღვრავს იზოლატორის სამართლებრივ სტატუსს, ამოცანებს, ფუნქციებსა და იზოლატორის მოსამსახურეთა ფუნქცია-მოვალეობებს.

#### **მუხლი 2. იზოლატორი**

1. იზოლატორი არის განსაკუთრებულად დაცული დაწესებულება, რომელიც წარმოადგენს სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) სტრუქტურულ ერთეულს.
2. იზოლატორი უშუალოდ უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაკავებულ/პატიმრობაში მყოფ პირთა დროებითი მოთავსების აღსრულებას და ახორციელებს იზოლატორში მოთავსებულ პირთა მეთვალყურეობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. იზოლატორი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) სამართლებრივი აქტებით.
4. იზოლატორი ანგარიშვალდებულია მინისტრის, კურატორი მინისტრის მოადგილის (არსებობის შემთხვევაში), დეპარტამენტის დირექტორის, დირექტორის მოადგილის ან/და დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წინაშე, რომლებიც ახორციელებენ მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. იზოლატორში, რომელშიც არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ფუნქციონირებს სამედიცინო



პუნქტი. იზოლატორის სამედიცინო პუნქტი უშუალოდ ექვემდებარება დეპარტამენტის სამედიცინო მომსახურების სამსახურს და არ შედის იზოლატორის შემადგენლობაში.

6. იზოლატორის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სამინისტრო.

7. იზოლატორს აქვს ბექედი იზოლატორის სახელწოდების აღნიშვნით.

### **მუხლი 3. იზოლატორის ამოცანები და ფუნქციები**

1. იზოლატორის ამოცანაა:

ა) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად დაკავებულ ან პატიმრობაშეფარდებულ პირთა, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოდან გამეხობის მიზნით დაკავებულ უცხოელთა იზოლატორში დროებითი მოთავსების აღსრულების უზრუნველყოფა;

ბ) იზოლატორში მოთავსებულ პირთა უფლებების დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გ) იზოლატორში შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა და მოთავსებულ პირთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა.

2. იზოლატორის ფუნქციაა:

ა) იზოლატორში სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა და მოთავსებულ პირთა კვებით უზრუნველყოფა;

ბ) იზოლატორში მოთავსებულ პირთათვის შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიწოდება;

გ) იზოლატორში მოთავსებულ პირთათვის ამანათის მიღების უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფა;

დ) იზოლატორში მოთავსებულ ადმინისტრაციულ-პატიმრობაშეფარდებულ პირთათვის ამ ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით (შემდგომში – შინაგანაწესი) განსაზღვრული დამატებითი უფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფა;

ე) ბრალდების ან/და დაცვის მხარისათვის საპროცესო საქმიანობაში ხელშეწყობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) იზოლატორში მოთავსებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და სხვა მოწყვლად ჯგუფებზე ზრუნვა, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ ასაკის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;

ზ) იზოლატორში მოთავსებულ პირთა ერთიან მონაცემთა ელექტრონული ბაზისა და პირადი საქმეების წარმოება, ასევე მათი ფოტოგრაფირება;

თ) იზოლატორში უსაფრთხოების დაცვის მიზნით იზოლატორის ტერიტორიაზე მყოფი პირებისა და მათი ნივთების, აგრეთვე იზოლატორში მოთავსებულ პირთა საკნების შემოწმება;

ი) იზოლატორში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა და იზოლატორში მყოფი პირების უსაფრთხოების დაცვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

## **თავი II**

**იზოლატორის ხელმძღვანელობა და იზოლატორში დასაქმებულ მოსამსახურეთა უფლება-  
მოვალეობები**



#### **მუხლი 4. იზოლატორში დასაქმებული მოსამსახურეები**

1. იზოლატორს ხელმძღვანელობს იზოლატორის უფროსი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი დეპარტამენტის დირექტორის წარდგინებით. რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე.
2. იზოლატორში მსახურობენ მორიგე-გუშაგები, რომელთაც შეიძლება მიენიჭოთ სახელმწიფო სპეციალური წოდება. იზოლატორის სპეციფიკის გათვალისწინებით, იზოლატორის მორიგე-გუშაგს შეიძლება დაეკისროს იზოლატორის ცვლის უფროსის უფლება-მოვალეობა.
3. იზოლატორში დამხმარე ფუნქციებს ასრულებენ შტატგარეშე მოსამსახურეები.
4. იზოლატორში, რომელშიც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, მოთავსებულ პირთათვის შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს დეპარტამენტის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შტატგარეშე მოსამსახურე.

#### **მუხლი 5. რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსის უფლება-მოვალეობები**

1. რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსი:

- ა) ხელმძღვანელობს მის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის საქმიანობას და წყვეტს იზოლატორის საქმიანობასთან დაკავშირებულ და იზოლატორის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს;
  - ბ) აკონტროლებს რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორში შემავალი იზოლატორის საქმიანობას, აგრეთვე შეიმუშავებს წინადადებებს იზოლატორის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით;
  - გ) შემდგომი რეაგირების მიზნით დეპარტამენტის ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებებს რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორში შემავალი იზოლატორის მუშაობის ორგანიზების, მოსამსახურეთა წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
  - დ) 24 საათის განმავლობაში ატყობინებს დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურს რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორში ან მასში შემავალ იზოლატორებში:
- დ.ა) სუიციდის ან/და თვითდაზიანების მიყენების მცდელობის შესახებ;
- დ.ბ) მოთავსებული პირის მხრიდან შიმშილობის გამოცხადების/შეწყვეტის შესახებ;
- დ.გ) მოთავსებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ;
- დ.დ) მოთავსებული პირის იზოლატორიდან დროებით გაყვანის შესახებ;
- დ.ე) მოთავსებული პირის მხრიდან პრეტენზიის გამოთქმის შესახებ;
- დ.ვ) მოთავსებული პირის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გამოთქმული ჩივილების თაობაზე;
- დ.ზ) მოსათავსებელი ან მოთავსებული პირის მიერ სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ნივთის (იარაღი, ასაფეთქებელი და საბრძოლო მასალა, ცივი იარაღი, სამედიცინო დანიშნულების საგანი და სხვა მსგავსი ნივთი, ასევე ნარკოტიკული/ფსიქოტროპული ნივთიერებები, ყალბი დოკუმენტაცია და ნებისმიერი სხვა ნივთი, რომელიც ამოღებულია სამოქალაქო ბრუნვიდან) წარმოდგენის, აგრეთვე იზოლატორის მოსამსახურის მიერ აღნიშნული ნივთის აღმოჩენის შესახებ;

დ.თ) წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციის შესახებ;

დ.ი) მოთავსებული სხვა ქვეყნის მოქალაქეების, მოქალაქეობის არმქონე პირების,



არასრულწლოვნებისა და ქალების შესახებ;

დ.კ) მოსათავსებელი ან მოთავსებული პირის მხრიდან პირველად სამედიცინო შემოწმებაზე ან/და სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის თაობაზე;

დ.ლ) შინაგანაწესის მე-20 მუხლით გათვალისწინებული პირების იზოლატორში მისვლის შესახებ;

დ.მ) მოთავსებული პირის სხვა იზოლატორში გადაყვანის შესახებ;

დ.ნ) მოსათავსებელი პირის იზოლატორში არმიღების შესახებ;

დ.ო) მომხდარი შემთხვევის თაობაზე, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნა შინაგანაწესის მე-14 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები;

დ.პ) მოთავსებული პირის მიერ შინაგანაწესის დარღვევის შესახებ;

დ.ჟ) მომხდარი ფაქტების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის იზოლატორის ნორმალურ ფუნქციონირებას;

დ.რ) საგანგებო სიტუაციის არსებობის შესახებ;

ე) დაუყოვნებლივ ატყობინებს დეპარტამენტის ხელმძღვანელობას რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორში ან მასში შემავალ იზოლატორებში:

ე.ა) სუიციდის ან/და თვითდაზიანების მიყენების მცდელობის შესახებ;

ე.ბ) მოთავსებული პირის მხრიდან შიმშილობის გამოცხადების/შეწყვეტის შესახებ;

ე.გ) მოთავსებული პირის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ;

ე.დ) მოთავსებული პირის მხრიდან იზოლატორის მოსამსახურის მიმართ პრეტენზიის გამოთქმის შესახებ;

ე.ე) მოსათავსებელი ან მოთავსებული პირის მიერ სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ნივთის (იარაღი, ასაფეთქებელი და საბრძოლო მასალა, ცივი იარაღი, სამედიცინო დანიშნულების საგანი და სხვა მსგავსი ნივთი, ასევე ნარკოტიკული/ფსიქოტროპული ნივთიერებები, ყალბი დოკუმენტაცია და ნებისმიერი სხვა ნივთი, რომელიც ამოღებულია სამოქალაქო ბრუნვიდან) წარმოდგენის, აგრეთვე იზოლატორის მოსამსახურის მიერ აღნიშნული ნივთის აღმოჩენის შესახებ;

ე.ვ) წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციის შესახებ;

ე.ზ) შინაგანაწესის მე-20 მუხლით გათვალისწინებული პირების იზოლატორში მისვლის შესახებ;

ე.თ) მოსათავსებელი პირის იზოლატორში არმიღების შესახებ;

ე.ი) მომხდარი შემთხვევის თაობაზე, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნა შინაგანაწესის მე-14 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ე.კ) მომხდარი ფაქტების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის იზოლატორის ნორმალურ ფუნქციონირებას;

ე.ლ) საგანგებო სიტუაციის არსებობის შესახებ;

ვ) პერიოდულად ისმენს რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორში შემავალი იზოლატორების მოსამსახურეთა ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს თაობაზე;

ზ) უზრუნველყოფს იზოლატორის ტექნიკური და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის კონტროლს;



თ) ამტკიცებს რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორისა და მასში შემავალი იზოლატორის მოსამსახურეების ცვლებში მორიგეობის გრაფიკებს და დეპარტამენტის დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს იზოლატორის ცვლის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ მოსამსახურეთა სიას;

ი) საჭიროებისამებრ მიმართავს დეპარტამენტის ხელმძღვანელობას იზოლატორის ამოცანების შესასრულებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფის თაობაზე;

კ) მის უშუალო დაქვემდებარებაში არსებულ რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორში ასრულებს ამ დებულების მე-6 მუხლითა და შინაგანაწესით იზოლატორის უფროსისათვის განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს, დეპარტამენტის დირექტორისა და დირექტორის მოადგილის ცალკეულ დავალებებს.

2. ქ. თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორის (სამმართველო) უფროსი ასრულებს ამ მუხლითა და შინაგანაწესით რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსისათვის განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს, დეპარტამენტის დირექტორისა და დირექტორის მოადგილის ცალკეულ დავალებებს.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 24 ივლისის ბრძანება №394 - ვებგვერდი, 24.07.2017წ.*

**მუხლი 6. რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსის მოადგილის უფლება-მოვალეობები**

1. რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსის მოადგილე:

ა) რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსს ხელს უწყობს სამსახურებრივ საქმიანობაში და მისი არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის უფლება-მოვალეობებს;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში კონტროლს უწევს იზოლატორში საქმისწარმოებასა და იზოლატორში მოთავსებულ პირთა ერთიან მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ინფორმაციის განთავსებას;

გ) აკონტროლებს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებების, ასევე სამსახურებრივი გასაღებების რაოდენობისა და მათი მდგომარეობის შემოწმების პროცესს;

დ) ზედამხედველობს მოსამსახურეთა მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას;

ე) აკონტროლებს რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორსა და მასში შემავალ იზოლატორში სტატისტიკის წარმოებას;

ვ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს, ასევე დეპარტამენტის დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსის ცალკეულ დავალებებს.

2. ქ. თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორის (სამმართველო) უფროსის მოადგილე (არსებობის შემთხვევაში) ასრულებს ამ მუხლითა და შინაგანაწესით რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსის მოადგილისათვის განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებს.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 24 ივლისის ბრძანება №394 - ვებგვერდი, 24.07.2017წ.*

**მუხლი 7. იზოლატორის უფროსის უფლება-მოვალეობები**

იზოლატორის უფროსი:

ა) ახორციელებს იზოლატორის საქმიანობის ხელმძღვანელობას, წყვეტს იზოლატორის საქმიანობასთან



დაკავშირებულ და იზოლატორის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს და შეიმუშავებს წინადადებებს იზოლატორის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით;

ბ) ანაწილებს ფუნქციებს დაქვემდებარებულ მოსამსახურეებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

გ) აკონტროლებს მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას, შეიმუშავებს და ახორციელებს მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების ღონისძიებებს;

დ) შემდგომი რეაგირების მიზნით წარუდგენს რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსს ან/და მის მოადგილეს წინადადებებს იზოლატორის მუშაობის ორგანიზების, დაქვემდებარებულ მოსამსახურეთა წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ე) პერიოდულად ისმენს იზოლატორის მოსამსახურეთა ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს თაობაზე;

ვ) აკონტროლებს იზოლატორში პირის მოთავსების პროცედურის განხორციელებას, უზრუნველყოფს შინაგანაწესისა და იზოლატორის დღის განრიგის დაცვას;

ზ) აკონტროლებს იზოლატორში მოთავსებულ პირთა დაკავების/პატიმრობის ვადებს;

თ) არანაკლებ თვეში ერთხელ ამოწმებს იზოლატორში არსებული სამსახურებრივი გასაღებების რაოდენობასა და საკეტების მდგომარეობას;

ი) დაუყოვნებლივ ატყობინებს რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსს ამ დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“-„დ.რ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფაქტების შესახებ;

კ) უზრუნველყოფს იზოლატორის ტექნიკური და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის კონტროლს, აწარმოებს იზოლატორის ქონების აღრიცხვას;

ლ) საჭიროებისამებრ მიმართავს რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსს ან/და მის მოადგილეს იზოლატორის ამოცანების შესასრულებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფის თაობაზე;

მ) კომპეტენციის ფარგლებში აღრიცხავს და ინახავს იზოლატორის საქმიანობასთან დაკავშირებულ ბრძანებებს, ინსტრუქციებს, საიდუმლო საქმეებსა და სხვა დოკუმენტაციას, აცნობს იზოლატორის მოსამსახურეებს აღნიშნულ ბრძანებებსა და მითითებებს, კონტროლს უწევს იზოლატორში საქმისწარმოების განხორციელებასა და იზოლატორში მოთავსებულ პირთა ერთიან მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ინფორმაციის სრულყოფილად განთავსებას, ასევე პასუხისმგებელია იზოლატორში სტატისტიკის წარმოებაზე;

ნ) პერიოდულად ამოწმებს იზოლატორში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებების რაოდენობასა და მათ მდგომარეობას;

ო) წარმოადგენს იზოლატორს საკუთარი მოვალეობების შესრულებისას და ხელს აწერს იზოლატორში მომზადებულ დოკუმენტებს;

პ) შემდგომი რეაგირების მიზნით აცნობებს იზოლატორის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის რაიონულ ან საქალაქო დანაყოფსა და დეპარტამენტის ხელმძღვანელობას იზოლატორში მოთავსებული პირის მიერ იზოლატორის მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ან/და მის მიმართ შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელების შესახებ;

ჟ) ამტკიცებს იზოლატორის მოსამსახურეთა საგუშაგოზე მორიგეობის გრაფიკებს;



რ) იზოლატორში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიზნით მიმართავს სამინისტროს შესაბამის დანაყოფებს;

ს) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს, ასევე რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსისა და უფროსის მოადგილის ცალკეულ დავალებებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 24 ივლისის ბრძანება №394 - ვებგვერდი, 24.07.2017წ.

## **მუხლი 8. იზოლატორის ცვლის უფროსის უფლება-მოვალეობები**

1. იზოლატორის ცვლის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და აკონტროლებს სამორიგეო ცვლაში მყოფი იზოლატორის მორიგე-გუშაგების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, უზრუნველყოფს იზოლატორში წესრიგისა და იზოლატორის დღის განრიგის დაცვას;

ბ) სამორიგეო ცვლის შესაბამისად იზოლატორში დასაქმებულ მოსამსახურეებს აძლევს შესაბამის მითითებებსა და დავალებებს;

გ) უშუალოდ უზრუნველყოფს იზოლატორში პირთა მოთავსების პროცედურის განხორციელებას და ამოწმებს იმ დოკუმენტაციას, რომელიც წარმოადგენს პირის იზოლატორში მოთავსების საფუძველს ან/და ავალებს აღნიშნულის განხორციელებას სხვა მოსამსახურეს;

დ) აკონტროლებს იზოლატორში შესვლის წესის დაცვასა და უსაფრთხო გადაადგილების ორგანიზებას;

ე) დაუყოვნებლივ ატყობინებს იზოლატორის უფროსს ამ დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“-„დ.რ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფაქტების შესახებ;

ვ) ზედამხედველობას უწევს იზოლატორის უფროსის მიერ დამტკიცებული საგუშაგო მორიგეობის გრაფიკის შესრულებას;

ზ) საჭიროების შემთხვევაში ასრულებს იზოლატორის მორიგე-გუშაგის უფლება-მოვალეობას;

თ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს, ასევე იზოლატორის უფროსის ცალკეულ დავალებებს.

2. იზოლატორის ცვლის უფროსს ეკრძალება, დატოვოს იზოლატორის შენობა ან გაათავისუფლოს მის სამორიგეო ცვლაში მყოფი იზოლატორის მოსამსახურეები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელი ხდება მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება და არსებობს იზოლატორის უფროსის თანხმობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 24 ივლისის ბრძანება №394 - ვებგვერდი, 24.07.2017წ.

## **მუხლი 9. იზოლატორის მორიგე-გუშაგის უფლება-მოვალეობები**

1. იზოლატორის მოსამსახურეები, რომლებიც სამორიგეო ცვლაში უშუალოდ იმყოფებიან იზოლატორში და ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას იზოლატორის ცვლის უფროსის ხელმძღვანელობით, არიან იზოლატორის მორიგე-გუშაგები.

2. იზოლატორის მორიგე-გუშაგი:

ა) ამოწმებს იზოლატორის საკნებს და იცავს საგუშაგოს (იზოლატორის საკნებთან არსებულ ტერიტორიას) მოთავსებული პირის გაქცევის ან სხვა სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით;

ბ) იზოლატორში უსაფრთხოების დაცვის მიზნით მეთვალყურეობს მოთავსებულ პირებს და





ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს;

გ) დადგენილი წესით ამოწმებს იზოლატორში მიღებულ ამანათებს და გადასცემს მათ ადრესატს;

დ) დაუყოვნებლივ ატყობინებს იზოლატორის ცვლის უფროსს ამ დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“–„დ.რ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფაქტების შესახებ;

ე) იზოლატორში მოთავსებულ პირებს აწვდის საკვების ულუფას დღის განრიგითა და შინაგანაწესის 28-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს იზოლატორში პირის მოთავსების პროცედურებს და არეგისტრირებს შესაბამის ინფორმაციას მოთავსებულ პირთა ერთიან მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში;

ზ) ადგენს ოქმებსა და სხვა შესაბამის დოკუმენტაციას;

თ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს, ასევე იზოლატორის შესაბამისი ცვლის უფროსის ცალკეულ დავალებებს.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 24 ივლისის ბრძანება №394 - ვებგვერდი, 24.07.2017წ.*

დანართი №2

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესი

### თავი I ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) დროებითი მოთავსების იზოლატორების (შემდგომში – იზოლატორი) შინაგანაწესი (შემდგომში – შინაგანაწესი) აწესრიგებს იზოლატორის საქმიანობის წესს და იზოლატორში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად დაკავებულ ან პატიმრობაშეფარდებულ პირთა, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოდან გაძევების მიზნით დაკავებულ უცხოელთა იზოლატორში მოთავსების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. შინაგანაწესი სავალდებულოა შესასრულებლად იზოლატორის მოსამსახურეებისთვის, იზოლატორში მოთავსებული პირებისა და ყველა იმ პირისთვის, რომელიც შედის/იმყოფება იზოლატორის ტერიტორიაზე.

3. შინაგანაწესის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. იმ მოთავსებული პირის მიმართ, რომელიც არ ემორჩილება იზოლატორის მოსამსახურის კანონიერ მოთხოვნას, გამოიყენება იძულებითი ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დანართის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მოთავსებული პირი – იზოლატორში მოთავსებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო



კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად დაკავებული ან პატიმრობაში შეფარდებული პირი, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოდან გაძევების მიზნით დაკავებული უცხოელი;

ბ) მოსათავსებელი პირი – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი ორგანოების თანამშრომლების მიერ იზოლატორში მოსათავსებლად წარდგენილი პირი იზოლატორში მისი მოთავსების პროცედურის დასრულებამდე;

გ) სამედიცინო მუშაკი – დეპარტამენტის სამედიცინო მომსახურების სამსახურის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შტატგარეშე მოსამსახურე, რომელიც საქმიანობას ახორციელებს მისთვის ხელშეკრულებით განსაზღვრულ იზოლატორში ან/და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის წარმომადგენელი;

დ) ახლო ნათესავი – შვილი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელი (მშვილებელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, მეუღლის მშობელი, გერი, ნაშვილები და მისი შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები, ბებია, პაპა, ბების დედ-მამა, პაპის დედ-მამა (როგორც დედის, ასევე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, აგრეთვე პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და საერთო მეურნეობას ეწეოდა იზოლატორში მოთავსებამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში;

ე) სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ნივთი – იარაღი, ასაფეთქებელი და საბრძოლო მასალა, ცივი იარაღი, სამედიცინო დანიშნულების საგანი და სხვა მსგავსი ნივთი, ასევე ნარკოტიკული/ფსიქოტროპული ნივთიერებები, ყალბი დოკუმენტაცია და ნებისმიერი სხვა ნივთი, რომელიც ამოღებულია სამოქალაქო ბრუნვიდან;

ვ) საგანგებო სიტუაცია – იზოლატორში არსებული ისეთი კრიზისული ვითარება, რომელიც გამოწვეულია კატასტროფით, მასშტაბური სამრეწველო ავარიით, ხანძრით, სტიქიური უბედურებით, ეპიდემიით, ეპიზოოტიით, ეპიფიტოტიით ან საბრძოლო საშუალებების გამოყენებით და რომელიც საფრთხეს უქმნის ან/და შეიძლება საფრთხე შეუქმნას იზოლატორში მყოფ პირთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს მსხვერპლი, ადამიანთა დაშავება ან/და მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ზ) ახლადმიღებული დაზიანება – დაზიანება, რომელიც მოსათავსებელი/მოთავსებული პირის განმარტებით, მას მიღებული აქვს დაკავებისას ან დაკავების შემდგომ, ასევე ყველა ის შემთხვევა, როდესაც მოსათავსებელი/მოთავსებული პირის განმარტების შინაარსის მიუხედავად, თავად დაზიანების ხანდაზმულობის გათვალისწინებით, არსებობს შესაძლებლობა, რომ დაზიანება მიღებულია დამკავებელი ორგანოს თანამშრომლებთან პირის კონტაქტის პერიოდში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 26 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 27.02.2018წ.

## თავი II

### იზოლატორში მოთავსების აღსრულების წესი და პირობები

#### მუხლი 3. იზოლატორში პირის მოთავსების საფუძვლები და პროცედურები

1. იზოლატორში მოსათავსებელ პირს წერილობითი მიმართვის საფუძველზე იზოლატორში წარადგენენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი ორგანოების თანამშრომლები.

2. იზოლატორში პირის მოთავსების საფუძველია:

ა) ადმინისტრაციული დაკავების ოქმი;

ბ) ბრალდებულის დაკავების ოქმი;



გ) სასამართლოში სამართალდამრღვევის დაკავების ოქმი;

დ) სასამართლო სხდომის დარბაზში ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის, ბრალდებულის, განსასჯელისა და მსჯავრდებულის დაკავების ოქმი;

ე) საქართველოდან გაძევების მიზნით უცხოელის დაკავების ოქმი;

ვ) მოსამართლის განჩინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევის დროს.

3. ადმინისტრაციულპატიმრობაშეფარდებული პირის იზოლატორში მოთავსებისას წერილობით მიმართვას დაკავების ოქმთან ერთად უნდა ერთოდეს მოსამართლის დადგენილება ან განკარგულება პატიმრობის შეფარდების შესახებ.

4. სასამართლოს განჩინებით შესაძლებელია, საქმის განხილვისას ბრალდებული, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა, დროებით მოთავსდეს უახლოეს იზოლატორში, თუ სასამართლო ტერიტორიულად დამორებულია პენიტენციური დაწესებულებისგან და გართულებულია ბრალდებულის გაყვანა/გადაყვანა. იზოლატორში მასზე ზედამხედველობასა და კონტროლს უშუალოდ განახორციელებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო საქართველოს პატიმრობის კოდექსითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება შინაგანაწესის მოთხოვნებს ან/და მოთავსებულ პირთა უსაფრთხოების ინტერესებს.

5. მოსათავსებელი პირის იზოლატორში მოთავსების პროცედურის დაცვაზე კონტროლს ახორციელებს იზოლატორის უფროსი ან/და მისი არყოფნის შემთხვევაში – იზოლატორის ცვლის უფროსი.

6. იზოლატორში არ მიიღება:

ა) პირი, რომლის ფიზიკური ან/და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლევა მის იზოლატორში მოთავსების საშუალებას და ამის შესახებ არსებობს სამედიცინო მუშაკის გადაწყვეტილება;

ბ) ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის განსაზღვრულ ასაკს მიუღწეველი პირი.

7. მოსათავსებელი პირის იზოლატორში წარდგენისას იზოლატორის ცვლის უფროსი ან მის მიერ უფლებამოსილი სხვა მოსამსახურე პირის შესახებ არსებულ ინფორმაციას წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე აღრიცხავს მოთავსებულ პირთა ერთიან მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში (შემდგომში – ერთიან მონაცემთა ელექტრონული ბაზა).

8. მოსათავსებელი პირის პირად დათვალიერებას და მისი ნივთების შემოწმებას დადგენილი წესით ახორციელებს სამორიგეო ცვლაში ამ მიზნით გამოყოფილი მორიგე-გუმბაგი, რომელსაც ზედამხედველობს იზოლატორის ცვლის უფროსი.

9. იზოლატორში მოთავსებისას იზოლატორის ცვლის უფროსი ან მის მიერ უფლებამოსილი სხვა მოსამსახურე მოსათავსებელ პირს წერილობით გააცნობს მის უფლებებსა და მოვალეობებს, საჩივრის შეტანის წესებს, შინაგანაწესით დადგენილ მოთხოვნებს, ასევე საპროცესო უფლებებს, რასაც მოსათავსებელი პირი ადასტურებს ხელმოწერით. თუ მოსათავსებელმა პირმა არ იცის სახელმწიფო ენა, აღნიშნული ინფორმაცია პირს მიეწოდება მშობლიურ ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე.

10. იზოლატორში მოსათავსებელ წერა-კითხვის უცოდინარ, აგრეთვე უსინათლო ან მხედველობადაქვეითებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირს ამ მუხლის მე-8 პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ზეპირი ფორმით. ყრუ-მუნჯს ამ მუხლის მე-8 პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს შესაბამისი ცოდნის მქონე თარჯიმნის მონაწილეობით.

11. იზოლატორში მოსათავსებელ არასრულწლოვან პირს ამ მუხლის მე-8 პუნქტში მითითებული



ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მისთვის გასაგები ფორმით.

12. მოსათავსებელი პირი პირადი დათვალიერებისა და მისი კუთვნილი ნივთების შემოწმების შემდეგ გადის პირველად სამედიცინო შემოწმებას, რომელსაც ახორციელებს სამედიცინო მუშაკი.

13. მოსათავსებელი პირის მოთავსებისას სავალდებულოა მისი ფოტოგრაფირება და ელექტრონული ხელმოწერის დაფიქსირება. მოთავსებული პირის ფოტოსურათი და ელექტრონული ხელმოწერა იტვირთება ერთიან მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

14. აღნიშნული პროცედურების ჩატარების შემდგომ იზოლატორის ცვლის უფროსი მოსათავსებელ პირს ათავსებს საკანში.

#### **მუხლი 4. იზოლატორში პირის მოთავსების ზოგადი წესი**

1. პირები იზოლატორში მოთავსებული არიან საკნებში, სადაც პირთა უსაფრთხოებისა და შინაგანაწესის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური მეთვალყურეობა და კონტროლი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მოთავსებული პირები საკნებში განლაგდებიან შემდეგი წესების დაცვით:

ა) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად დაკავებული პირები თავსდებიან სხვა საფუძვლით მოთავსებული პირებისგან განცალკევებით;

ბ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად პატიმრობაშეფარდებული პირები თავსდებიან სხვა საფუძვლით მოთავსებული პირებისგან განცალკევებით;

გ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად დაკავებული პირები თავსდებიან სხვა საფუძვლით მოთავსებული პირებისგან განცალკევებით;

დ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად პატიმრობაშეფარდებული პირები თავსდებიან სხვა საფუძვლით მოთავსებული პირებისგან განცალკევებით;

ე) საქართველოდან გამკვების მიზნით დაკავებული უცხოელები თავსდებიან სხვა საფუძვლით მოთავსებული პირებისგან განცალკევებით;

ვ) მამაკაცები თავსდებიან ქალებისგან განცალკევებით;

ზ) არასრულწლოვნები თავსდებიან სრულწლოვანი პირებისგან განცალკევებით;

თ) ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე დაკავებული პირები იზოლატორში თავსდებიან ცალ-ცალკე; გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს წესი შეიძლება გავრცელდეს სხვა ბრალდებულებზეც;

ი) ორსული ქალები თავსდებიან სხვა მოთავსებული პირებისგან განცალკევებით;

კ) სხვა მოთავსებული პირებისგან განცალკევებით თავსდებიან საქართველოს სასამართლოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს დაზვერვის სამსახურის თანამშრომლები. აღნიშნული წესი ვრცელდება მითითებული უწყებების ყოფილ თანამშრომლებზეც.

3. იზოლატორის უფროსი ან მისი არყოფნის შემთხვევაში იზოლატორის ცვლის უფროსი უფლებამოსილია, საჭიროებიდან გამომდინარე, მიიღოს გადაწყვეტილება იზოლატორში პირთა განცალკევებით მოთავსების შესახებ.



4. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ამ მუხლით დადგენილი წესის დაცვა ან/და საჭიროებიდან გამომდინარე, დეპარტამენტის დირექტორი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება მოთავსებული პირის სხვა იზოლატორში გადაყვანის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და გამოცემულ იქნეს წერილობითი ფორმით.

## **მუხლი 5. პირადი დათვალიერება**

1. პირადი დათვალიერება ტარდება მოსათავსებელი პირის იზოლატორში შეყვანისთანავე, იმავე სქესის პირის მიერ განცალკევებულ ადგილას, სხვათა თვალთახედვის არისგან მოშორებით, იმ ოთახში, სადაც არ არის განთავსებული ვიდეომეთვალყურეობის კამერა. პირად დათვალიერებას შეიძლება დაესწროს იმავე სქესის პირი. მოსათავსებელი პირის პირადი დათვალიერებისას მისი ტანსაცმელი თვალიერდება და ისინჯება იზოლატორის უფლებამოსილი მორიგე-გუშაგის მიერ. პირადი დათვალიერების დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება დასათვალიერებელი პირის ტანისამოსი შესაბამისი მახასიათებლების მითითებით. პირადი დათვალიერების დროს შესაძლებელია სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენება.

2. პირადი დათვალიერების დაწყების წინ იზოლატორის მოსამსახურე პირს გააცნობს იმ პირველადი მოხმარების საგნების, ჰიგიენური საშუალებების, კვების პროდუქტებისა და სხვა ნივთებისა და საგნების ჩამონათვალს, რომლებიც მოთავსებულ პირს უფლება აქვს ამანათის სახით მიიღოს, შეინახოს და გამოიყენოს კანონიერად (შინაგანაწესის დანართი №1).

3. პირადი დათვალიერების დაწყების წინ იზოლატორის მოსამსახურემ პირს უნდა მოსთხოვოს ყველა იმ ნივთის წარდგენა, რომელიც გათვალისწინებული არ არის შინაგანაწესის დანართი №1-ით. თუ პირს პირადი დათვალიერების პროცესში აღმოაჩნდება აღნიშნული ნივთი, იგი ექვემდებარება ჩამორთმევას იზოლატორის მოსამსახურის მიერ.

4. მოსათავსებელი პირის მიერ სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ნივთის წარმოდგენის ან იზოლატორის მოსამსახურის მიერ აღნიშნული ნივთის ჩამორთმევის შემთხვევაში ნივთი ილუქება, დგება ოქმი და დაუყოვნებლივ ეცნობება საქართველოს პროკურატურას.

5. ნივთი, რომელიც წარმოადგინა პირმა ან ჩამოერთვა პირს, მაგრამ არ არის ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების საფუძველი, დეტალურად აღიწერება პირადი დათვალიერების ოქმში. აღნიშნული ნივთები, გარდა მალფუჭებადი პროდუქტებისა, ინახება იზოლატორში საამისოდ გამოყოფილ ადგილას. მათი სრულად დაბრუნება ხდება პირის იზოლატორიდან გასვლისას ან გათავისუფლებისას, რასაც მოთავსებული პირი ან/და დამკავებელი ორგანოს წარმომადგენელი ადასტურებს პირადი დათვალიერების ოქმზე ხელმოწერით. მალფუჭებადი პროდუქტები ნადგურდება დაუყოვნებლივ, რის შესახებაც დგება შესაბამისი ოქმი.

## **მუხლი 6. პირველადი სამედიცინო შემოწმება**

1. მოსათავსებელი პირი იზოლატორის საკანში მოთავსების წინ გადის პირველად სამედიცინო შემოწმებას.

2. პირველადი სამედიცინო შემოწმების დროს სამედიცინო მუშაკის მიერ მოსათავსებელი პირი გამოიკითხება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ხდება ამ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების დოკუმენტირება, ასევე ვიზუალური დათვალიერება სხეულზე არსებული დაზიანებების სრულად დაფიქსირების მიზნით. სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს განცალკევებულ ოთახში სხვა პირთა დასწრების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამედიცინო მუშაკი თავად მიიჩნევს აუცილებლად იზოლატორის მოსამსახურის დასწრებას აღნიშნულ პროცედურაზე.

3. იზოლატორში, რომელშიც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, პირველად სამედიცინო შემოწმებას ატარებს დეპარტამენტის სამედიცინო მომსახურების სამსახურის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შტატგარეშე მოსამსახურე და შემოწმების შესახებ ადგენს იზოლატორში მოთავსებული პირის სამედიცინო შემოწმების ფორმას. თუ ექიმს წარმოეშობა ეჭვი წამებასა და არასათანადო მოპყრობაზე, ის ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ წერილობით შეატყობინოს საქართველოს პროკურატურას და სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. მოცემული ინფორმაცია ამავდროულად უნდა მიეწოდოს



იზოლატორის უფროსს.

4. იზოლატორში, რომელშიც არ ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, მოსათავსებელი პირისათვის პირველადი სამედიცინო შემოწმების ჩასატარებლად იზოლატორის ცვლის უფროსი იძახებს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადას. ასეთ შემთხვევაში, პირველადი სამედიცინო შემოწმების ჩატარების შემდეგ გარეგნული დათვალიერების ოქმს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ შევსებული სამედიცინო ბარათის შესაბამისად ავსებს იზოლატორის მოსამსახურე. გარეგნული დათვალიერების ოქმში მიეთითება მოსათავსებელი პირის გარეგნული მდგომარეობა, სხეულის დაზიანების შესაძლო ნიშნები, თუ სად მიიღო აღნიშნული დაზიანებები და რა ვითარებაში, ვის მიერ, აქვს თუ არა მოსათავსებელ პირს ვინმეს მიმართ რაიმე სახის პრეტენზია, რომელსაც შემდგომ ადასტურებს ხელმოწერით. მოსათავსებელი პირის მხრიდან ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, ოქმზე იზოლატორის მოსამსახურის მიერ უნდა გაკეთდეს შესაბამისი შენიშვნა. მოსათავსებელი პირის მხრიდან პრეტენზიის გამოთქმის ან/და სხეულის ახლადმიღებული დაზიანების არსებობის შემთხვევაში იზოლატორის უფროსი ვალდებულია, ეს ინფორმაცია დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს პროკურატურას და სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. დაზიანების ხანდაზმულობის შესახებ ინფორმაციას, იზოლატორის მოსამსახურე მოიპოვებს იმ სამედიცინო მუშაკისაგან, რომელმაც უშუალოდ ჩაატარა პირველადი სამედიცინო შემოწმება.

5. პირი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობაც სამედიცინო მუშაკის შეფასებით არ იძლევა იზოლატორში მისი მოთავსების შესაძლებლობას, იგზავნება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 26 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 27.02.2018წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 31 იანვრის ბრძანება №7 - ვებგვერდი, 01.02.2019წ.*

## **მუხლი 7. მოთავსებული პირის იზოლატორის ტერიტორიაზე გადაადგილების წესი**

1. მოთავსებული პირის საკნიდან გაყვანა დასაშვებია მხოლოდ შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. მოთავსებული პირი ვალდებულია, იზოლატორის ტერიტორიაზე გადაადგილებისას დაიცვას წესრიგი, დაემორჩილოს იზოლატორის მოსამსახურის კანონიერ მოთხოვნას. უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, იზოლატორის მოსამსახურეს უფლება აქვს, მოსთხოვოს მოთავსებულ პირს ხელების ზურგს უკან დალაგება.

3. მოთავსებული პირის საკნიდან გაყვანა 22.00 საათიდან 06.00 საათამდე შესაძლებელია:

ა) ადვოკატთან შეხვედრისას;

ბ) იზოლატორიდან გათავისუფლებისას;

გ) გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად;

დ) გადაუდებელი საგამომიებო ან/და საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად;

ე) საგანგებო შემთხვევის დროს ან გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას, იზოლატორის უფროსის დასაბუთებული გადაწყვეტილებით.

4. იზოლატორის უფლებამოსილი მოსამსახურე ვალდებულია 06.00 საათიდან 22.00 საათამდე, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობისას – ნებისმიერ დროს, გამომიებლის, პროკურორის ან/და ადვოკატის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოს მოთავსებული პირის საკნიდან გაყვანა საგამომიებო ოთახში საგამომიებო ან/და საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობისათვის.

5. იზოლატორის უფროსი უფლებამოსილია, მოთავსებული პირი საჭიროების შემთხვევაში, უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვის მიზნით, გადაიყვანოს ერთი საკნიდან მეორეში.

## **მუხლი 8. მოთავსებული პირის უფლება ადვოკატზე**



1. მოთავსებული პირის უფლება ადვოკატზე მოიცავს ადვოკატთან დაკავშირებისა და ადვოკატის მიერ პირის მონახულების უფლებას. ადვოკატთან დაკავშირება უზრუნველყოფილი უნდა იყოს იზოლატორში მოთავსებიდან გონივრულ ვადაში. იმ შემთხვევაში, როდესაც ცნობილია მოთავსებული პირის ადვოკატის ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები, იზოლატორის მოსამსახურე თავად უკავშირდება მას, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატის ვინაობა ან/და საკონტაქტო მონაცემები უცნობია, ადვოკატთან დაკავშირებას უზრუნველყოფს მოთავსებული პირის დამკავებელი ორგანო.

2. ადვოკატის მიერ შესაბამისი დოკუმენტის (პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და შესაბამისი ორდერი) წარდგენის შემთხვევაში იზოლატორში მოთავსებულ პირს უფლება აქვს, პირისპირ შეხვდეს მას ყოველგვარი შეზღუდვისა და ჩარევის გარეშე, იზოლატორის საგამოძიებო ოთახში, სხვა პირის დაუსწრებლად, შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის განუსაზღვრელად.

3. პირთა უსაფრთხოების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ადვოკატისა და მოთავსებული პირის შეხვედრის ადგილის სიახლოვეს შესაძლოა იმყოფებოდეს იზოლატორის მოსამსახურე. იზოლატორის მოსამსახურის ყოფნამ ხელი არ უნდა შეუშალოს ადვოკატისა და მოთავსებული პირის საუბრის კონფიდენციალობას.

## **მუხლი 9. მოთავსებული პირის იზოლატორიდან დროებით გაყვანა**

1. მოთავსებული პირის იზოლატორიდან დროებით გაყვანა ხდება:

ა) პროკურორის დადგენილების საფუძველზე იმ საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების მიზნით, რომელთა ჩატარებაც იზოლატორში ტექნიკურად შეუძლებელია;

ბ) სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანისას, სამედიცინო მუშაკის შესაბამისი დასკვნის საფუძველზე;

გ) შესაბამის ჩანაცვლებით პროგრამაზე გადაყვანისას;

დ) სასამართლოში წარსადგენად;

ე) შინაგანაწესით განსაზღვრულ შემთხვევებში დეპარტამენტის დირექტორის წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე;

ვ) იზოლატორში საგანგებო სიტუაციის არსებობისას.

2. მოთავსებული პირის იზოლატორიდან დროებით გაყვანა ხდება მისი უშუალო დამკავებელი ორგანოს წერილობითი მიმართვის საფუძველზე უშუალო დამკავებელი ორგანოს ან/და საჭიროების შემთხვევაში უშუალო დამკავებელი ორგანოს მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ.

3. იზოლატორში საგანგებო სიტუაციის არსებობისას ან/და მოთავსებული პირისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის აუცილებლობისას იზოლატორის უფროსი ან იზოლატორის ცვლის უფროსი მოთავსებული პირის იზოლატორიდან დროებით გაყვანის მიზნით მიმართავს იზოლატორის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის რაიონულ ან საქალაქო დანაყოფს.

## **მუხლი 10. იზოლატორში ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების წესი**

1. იზოლატორში ვიდეომეთვალყურეობის განხორციელება დასაშვებია იზოლატორის მოსამსახურეების, იზოლატორში მოთავსებული ან სხვა პირების უსაფრთხოებისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მოთავსებულ ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, სხვა დანაშაულისა და სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე იზოლატორის მუშაობასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე მონიტორინგის ეფექტიანად განხორციელების მიზნით.

2. იზოლატორში ვიდეომეთვალყურეობის განხორციელება დასაშვებია იზოლატორის სამორიგეო ოთახებში, დეესკალაციის ოთახებსა და დერეფნებში, სადაც განთავსებულია საკნები. იზოლატორში ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებამ არ უნდა ჩაანაცვლოს იზოლატორის მოსამსახურის მიერ



მოთავსებულ პირთა შემოწმება და მათთან უშუალო კონტაქტის დამყარება. იზოლატორში ვიდეომეთვალყურეობის სისტემა უნდა განთავსდეს ისეთი განლაგებით, რომ შესაძლებელი იყოს იზოლატორში მყოფი პირების ვიზუალურად დანახვა და იდენტიფიკაცია. იზოლატორის ტერიტორიაზე ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების შემთხვევაში იზოლატორის უფროსი ვალდებულია, უზრუნველყოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნის თვალსაჩინო ადგილას განთავსება.

3. დეესკალაციის ოთახში ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას იზოლატორის ცვლის უფროსი ვალდებულია წერილობით გააფრთხილოს მოთავსებული პირი. გაფრთხილების ოქმში აღინიშნება ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების დაწყების დრო. გაფრთხილების ოქმს ხელს აწერს იზოლატორის ცვლის უფროსი და მოთავსებული პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება ვიდეომეთვალყურეობა. თუ მოთავსებული პირი უარს აცხადებს ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

4. დაუშვებელია იზოლატორში ვიდეომეთვალყურეობის განხორციელება მოთავსებული პირის დასჯის მიზნით.

### **მუხლი 11. ვიდეომეთვალყურეობის ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესი**

1. დეპარტამენტი უფლებამოსილია, განახორციელოს იზოლატორში ვიდეომეთვალყურეობის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაწერა.

2. ვიდეომეთვალყურეობის ცენტრალური მართვა ხორციელდება დეპარტამენტში, ამ მიზნით გამოყოფილ ოთახში (შემდგომში – ცენტრალური მართვის ოთახი), დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურის მიერ.

3. ცენტრალური მართვის ოთახში შესვლის/ყოფნის უფლება აქვს:

ა) მინისტრს;

ბ) დეპარტამენტის კურატორ მინისტრის მოადგილეს;

გ) დეპარტამენტის დირექტორს;

დ) დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეებს;

ე) დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურის მოსამსახურეებს;

ვ) მინისტრის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტის დირექტორის დასაბუთებული წერილობითი მიმართვის საფუძველზე სხვა პირს, ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერესებიდან ან სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე.

4. აკრძალულია ცენტრალური მართვის ოთახში ფოტო/ვიდეო/აუდიო გადაღება/ჩაწერა მინისტრის წერილობითი თანხმობის გარეშე.

5. ცენტრალური მართვის ოთახში მობილური ტელეფონის შეტანის უფლება აქვთ ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირებს, აგრეთვე მინისტრის წერილობითი თანხმობით – სხვა პირებს.

6. ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას ინფორმაციის ჩაწერა მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში. გადაღებული მასალა ინახება ცენტრალური მართვის ოთახში არანაკლებ 120 საათისა, რა დროსაც ჩამწერი მოწყობილობის მეხსიერების შევსებისას ხორციელდება ახალი ინფორმაციის ჩაწერა ამავე მოწყობილობის მეხსიერებაზე არსებული ინფორმაციის წაშლის/განადგურების შედეგად.

7. გადაღებული მასალის გაცნობა და გადაცემა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.





8. ჩამწერ მოწყობილობაზე აკრძალულია ნებისმიერი ელექტრონული აპარატის მიერთება მინისტრის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9. სამართალწარმოების ჩატარების მიზნით გადაღებული მასალის დაარქივება ხორციელდება შემდეგი შემთხვევის/გარემოების აღმოჩენისას:

ა) სამართალდარღვევა, მათ შორის, სავარაუდო დანაშაულის ფაქტები;

ბ) მოთავსებული პირის გარდაცვალება;

გ) ნებისმიერი ქმედება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფაქტები;

დ) მოთავსებული პირის მხრიდან თვითდაზიანების ან/და სუიციდის მცდელობის შემთხვევები;

ე) სხვა შემთხვევებში – დეპარტამენტის დირექტორის ან დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის დასაბუთებული გადაწყვეტილებით.

10. დაარქივებული მასალა ინახება დეპარტამენტში, საამისოდ დაცულ ბაზაში, რის თაობაზეც დგება გადაღებული მასალის დაარქივების ოქმი, რომელსაც ადგენს დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურის უფროსი ან მისი მოადგილე. გადაღებული მასალის დაარქივების ოქმს აგრეთვე დაერთვება გადაწყვეტილება, რომლითაც განხორციელდა გადაღებული მასალის დაარქივება.

11. დაარქივებული მასალის, მათ შორის, ფრაგმენტის გადმოწერის (მოხსნა და ფიქსაცია) თაობაზე გადაწყვეტილებას წერილობით იღებს დეპარტამენტის დირექტორი კურატორი მინისტრის მოადგილის თანხმობით.

12. დაარქივებული მასალა ინახება იმ სამართალწარმოების დასრულებიდან ან სხვა შესაბამისი გარემოების აღმოფხვრიდან არაუმეტეს 1 თვის ვადით, რომლის გამოც განხორციელდა აღნიშნული მასალის დაარქივება. შესაბამის ბაზაში შენახული დაარქივებული მასალა ნადგურდება ამ ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში საამისოდ შექმნილი კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობასაც ბრძანებით ამტკიცებს მინისტრი.

13. შესაბამის ბაზაში შენახული დაარქივებული მასალა კომისიის მიერ უნდა განადგურდეს ელექტრონული ფაილების შემთხვევაში – სისტემიდან მათი სრული წაშლით, ხოლო მატერიალური სახით არსებობის შემთხვევაში – მათი დაწვით, დაჭრით ან სხვა ფორმით, რაც შეუძლებელს გახდის მომავალში მისი აღდგენის შესაძლებლობას.

14. განადგურების შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება განადგურებული მასალის მოცულობა, განადგურების დრო, ადგილი, ფორმა და სხვა მონაცემები.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 3 თებერვლის ბრძანება №10 - ვებგვერდი, 05.02.2018წ.*

## **მუხლი 12. ამანათის მიღება იზოლატორში**

1. იზოლატორში ამანათის სახით მიიღება ამ შინაგანაწესით (შინაგანაწესის დანართი №1) გათვალისწინებული ნივთები. შესაბამისი დანიშნულებისა და რეცეპტის წარდგენის შემთხვევაში მოთავსებულ პირს აქვს ქარხნული წესით დალუქული სამკურნალო საშუალების ამანათის სახით მიღების უფლება, რომელიც ინახება მოთავსებული პირის პირად ნივთებთან ერთად.

2. იზოლატორში ამანათები მიიღება იმ პირისგან, რომელსაც გააჩნია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტი პირადი ნომრითა და ფოტოსურათით.

3. იზოლატორის მოსამსახურე ამანათის შემგზავნ პირს განუმარტავს იზოლატორში მოთავსებული პირისათვის ამანათის გადაცემის შესახებ განცხადების შევსების წესს, გადასცემს განცხადების შესავსებ ფორმას და გააცნობს შინაგანაწესის დანართი №1-ით დადგენილ ჩამონათვალს.



4. იზოლატორის უფლებამოსილი მოსამსახურე ამანათის შემგზავნი პირის თანდასწრებით ამოწმებს განცხადებაში მითითებული ნივთების შესაბამისობას შინაგანაწესის №1 დანართით დადგენილ ჩამონათვალთან.
5. ამანათის შემოწმებისას აღმოჩენილი ნივთები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული შინაგანაწესის №1 დანართით, ამოიღება და გადაეცემა ამანათის შემგზავნ პირს დაბრუნების მიზეზების მითითებით.
6. ამანათის შემოწმებისას სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში იზოლატორის ცვლის უფროსის მიერ დგება შესაბამისი ოქმი და დაუყოვნებლივ ეცნობება საქართველოს პროკურატურას.
7. შესაბამისი შემოწმების შემდეგ ამანათის მიღების შესახებ ინფორმაცია იზოლატორის ცვლის უფროსის მიერ რეგისტრირდება ერთიან მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.
8. იზოლატორის მოსამსახურე ამანათის შემოწმების შემდეგ იზოლატორში მოთავსებულ პირს გადასცემს განცხადებაში მითითებულ ნივთებსა და საკვებ პროდუქტებს. ამანათის მიღების დადასტურების მიზნით მოთავსებული პირი ხელს აწერს განცხადებას.

### **მუხლი 13. იზოლატორის საკნების შემოწმება**

1. იზოლატორის საკნების შემოწმება ხორციელდება იზოლატორის მოსამსახურეების მიერ ყოველ დღით სამორიგო ცვლის გადაბარებისას, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში იზოლატორის უფროსის დავალებით არსებული ვითარებიდან გამომდინარე. შემოწმების დროს შესაძლებელია სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენება.
2. იზოლატორის საკნების შემოწმების დაწყებამდე იზოლატორის მოსამსახურეს გამოჰყავს მოთავსებული პირი საკნიდან, რა დროსაც მოსამსახურე უფლებამოსილია, შეამოწმოს იგი.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული შემოწმების დროს სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში ნივთი ილუქება შესაბამისი წესით, დგება ოქმი და დაუყოვნებლივ ეცნობება საქართველოს პროკურატურას.
4. მოთავსებულ პირს ჩამოერთმევა ამ მუხლით გათვალისწინებული შემოწმების დროს აღმოჩენილი ის ნივთები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული შინაგანაწესის დანართი №1-ით. აღნიშნული ნივთები ინახება იზოლატორში საამისოდ გამოყოფილ ადგილას, მოთავსებული პირის სხვა პირად ნივთებთან ერთად და მათი სრულად დაბრუნება ხდება პირის იზოლატორიდან გასვლისას ან გათავისუფლებისას.
5. თუ იზოლატორის საკნების შემოწმებისას იზოლატორის მოსამსახურე დააფიქსირებს საკნის ან/და საკანში არსებული ინვენტარის დაზიანების ფაქტს, იგი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე შეადგინოს ოქმი.

### **მუხლი 14. იზოლატორში უსაფრთხოების დაცვის მიზნით ღონისძიებების განხორციელების წესი**

1. იზოლატორში მოთავსებული პირის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა და ქონების დაზიანების თავიდან აცილების, იზოლატორში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის, მოთავსებული პირის მიერ იზოლატორის მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, თავდასხმის მოგერიების, ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის მიზნით მოთავსებული პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებები:

- ა) ხელბორკილის/შებორკვის საშუალების გამოყენება;
- ბ) სხვა მოთავსებული პირებისგან მისი განცალკევება;
- გ) მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ მოთავსება.



2. ხელბორკილისა და შებორკვის სხვა საშუალების გამოყენება დასაშვებია მოთავსებული პირის დაწყნარებამდე, მაგრამ არაუმეტეს უწყვეტად 2 საათისა. ხელბორკილისა და შებორკვის სხვა საშუალების გამოყენებისას უნდა გამოირიცხოს მოთავსებული პირის მიერ საკუთარ სხეულზე ზიანის მიყენების შესაძლებლობა. ხელბორკილისა და შებორკვის სხვა საშუალების გამოყენების თითოეულ შემთხვევაში იზოლატორის ცვლის უფროსი ადგენს ოქმს, რომელშიც მიუთითებს შერჩეული ღონისძიების გამოყენების ადგილს, საფუძველსა და ხანგრძლივობას. ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ ეცნობება დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურს და საქართველოს პროკურატურას.

3. თუ მოთავსებული პირი საფრთხეს უქმნის საკუთარ ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ან არსებობს ასეთი ქმედების განხორციელების საფრთხე, იგი შეიძლება მოთავსდეს მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში პირი მოთავსდება იზოლატორის სათანადოდ აღჭურვილ დეესკალაციის ოთახში სამედიცინო მუშაკის უწყვეტი ხელმისაწვდომობის და 24-საათიანი ვიდეომეთვალყურეობის პირობებში. დეესკალაციის ოთახი აღჭურვილი უნდა იყოს უსაფრთხო ლეიბით, ვიდეომეთვალყურეობის კამერით, რომლის ხედვის არეც არ მოიცავს ტუალეტის ნიჟარას, დისტანციურად მართვადი, დაზიანებისადმი მედეგი ღია ტიპის ტუალეტით, ონკანით, განათებით და სათანადო ვენტილაციით. იმ იზოლატორში, რომელშიც არ არის სათანადოდ აღჭურვილი დეესკალაციის ოთახი, პირი თავსდება განცალკევებით და იზოლატორის ცვლის მორიგე-გუშაგი ვალდებულია, მასზე განახორციელოს მუდმივი მეთვალყურეობა მდგომარეობის შემოწმების მიზნით. მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ პირის მოთავსებისთანავე დგება სათანადო დოკუმენტი და გონივრული შუალედებით კეთდება შესაბამისი ჩანაწერები პირის მდგომარეობის შესახებ.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება დაუყოვნებლივ წყდება იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომლის აღსაკვეთადაც გამოიყენებოდა აღნიშნული ღონისძიებები.

5. დაუშვებელია ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენება მოთავსებული პირის დასჯის მიზნით.

### **მუხლი 15. მოთავსებულ პირთა და იზოლატორის მოსამსახურეთა ურთიერთობა**

1. მოთავსებული პირები იზოლატორის მოსამსახურეებს მიმართავენ „თქვენობით“.
2. იზოლატორის მოსამსახურეები მოთავსებულ პირებს მიმართავენ თავაზიანად, ეთიკის ნორმების დაცვით (სახელით ან/და გვარით).

### **მუხლი 16. სამედიცინო მომსახურება**

1. მოთავსებული პირისთვის იზოლატორში უზრუნველყოფილი უნდა იყოს 24-საათიანი სამედიცინო მომსახურება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ქვეყანაში დადგენილი სამედიცინო მომსახურების მოთხოვნების შესაბამისად. იმ იზოლატორში, რომელშიც არ ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, სამედიცინო მომსახურების გასაწევად გამოძახებულ იქნება სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა.
2. მოთავსებულ პირს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს, იზოლატორში მოთავსების მთელი პერიოდის განმავლობაში მოითხოვოს სამედიცინო შემოწმების ჩატარება, ასევე აღნიშნული შემოწმების ჩატარების მიზნით საკუთარი ხარჯებით მოიწვიოს ექსპერტი.
3. იმ შემთხვევაში, თუ მოთავსებული პირი უჩივის ჯანმრთელობის მდგომარეობას ან გამოვლინდება ავადობის აშკარა ნიშნები, იზოლატორის მოსამსახურე ვალდებულია, დაუყოვნებლივ გადაიყვანოს იგი სამედიცინო პუნქტში ან გამოიძახოს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა, რათა მიიღოს დასკვნა ასეთი პირის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის ან მკურნალობის კურსის იზოლატორში ჩატარების შესაძლებლობის შესახებ. იმ იზოლატორში:

ა) რომელშიც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ მოთავსებული პირის სამედიცინო შემოწმების ფორმაში ჩანაწერს აკეთებს დეპარტამენტის სამედიცინო მომსახურების სამსახურის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შტატგარეშე მოსამსახურე;



ბ) რომელშიც არ ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ ჩანაწერს ერთიან მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში აკეთებს იზოლატორის მოსამსახურე სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ შევსებული სამედიცინო ბარათის შესაბამისად.

4. თუკი მოთავსებული პირი საჭიროებს ისეთ სამედიცინო მომსახურებას, რომლის გაწევაც სამედიცინო მუშაკის შეფასებით იზოლატორში შეუძლებელია, იგი იგზავნება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში. მკურნალობის კურსის ჩასატარებლად შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის ვადა ჩაითვლება იზოლატორში მოთავსების საერთო ვადაში. მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ მოთავსებული პირი მკურნალი ექიმის დასკვნით ბრუნდება იზოლატორში, თუ გასული არ არის პირის იზოლატორში მოთავსების ვადა.

5. იმ მოთავსებული პირისათვის, რომელიც იზოლატორში გადის მედიკამენტოზურ მკურნალობას, ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამკურნალო საშუალებები. სამკურნალო საშუალებების მიწოდებას მოთავსებული პირისათვის ახორციელებს სამედიცინო მუშაკი.

6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქცია მტკიცდება მინისტრის სამართლებრივი აქტით.

### **მუხლი 17. საქმისწარმოების წესები იზოლატორში**

1. იზოლატორის საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით იზოლატორის მოსამსახურეთა მიერ ხორციელდება ერთიან მონაცემთა ელექტრონული ბაზისა და პირადი საქმეების წარმოება.

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა ერთიან მონაცემთა ელექტრონული ბაზისა და პირადი საქმეების წარმოების წესი მტკიცდება მინისტრის სამართლებრივი აქტით.

### **მუხლი 18. იზოლატორში შესვლის უფლება**

1. იზოლატორის მოსამსახურეები იზოლატორში შედიან სამსახურებრივი მოწმობის მეშვეობით.

2. ნებისმიერი პირი, გარდა იზოლატორის მოსამსახურისა და ამ დანართის მე-19 და მე-20 მუხლებით გათვალისწინებული პირისა, იზოლატორში შესასვლელად საჭიროებს ნებართვას, რომელსაც ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის გასცემს დეპარტამენტის დირექტორი ან მისი არყოფნის შემთხვევაში – დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე.

3. იზოლატორში შემსვლელი პირები გადიან შემოწმებას/დათვალიერებას პირის ტანსაცმლის მხოლოდ გარე ზედაპირზე ხელისა და ტექნიკური საშუალების შეხებით, რომელსაც ახორციელებს იმავე სქესის მოსამსახურე. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამ პირთა შემოწმება/დათვალიერება შეიძლება განახორციელოს ნებისმიერმა მოსამსახურემ მხოლოდ ტექნიკური საშუალებით.

4. იზოლატორის მორიგე-გუშაგმა მოთავსებულ პირთან შეხვედრაზე შემსვლელ პირს შემოწმებამდე უნდა გააცნოს იმ კვების პროდუქტების, ნივთების, ნაკეთობების, ნივთიერებების და დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელთა იზოლატორში შეტანაც აკრძალულია მოთავსებულ პირთან შეხვედრაზე შემსვლელი პირებისათვის (შინაგანაწესის დანართი №2).

5. დაუშვებელია იზოლატორის ტერიტორიაზე აუდიო-ვიდეოფიქსაციის ან/და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების ნებართვის გარეშე შეტანა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სისხლის სამართლის საქმისმწარმოებელი ორგანოს წერილობითი მოთხოვნა აღნიშნული ტექნიკის გამოყენებით საგამომიებო მოქმედების ჩატარების შესახებ. ამის შესახებ ნებართვას გასცემს რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსი.

6. ცეცხლსასროლი იარაღის, აუდიო-ვიდეოფიქსაციის ან/და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების მქონე პირი, მათ შორის, სამინისტროს მოსამსახურე, იზოლატორში შესვლისას ვალდებულია, აღნიშნული ნივთები შეინახოს იზოლატორში საამისოდ გამოყოფილ ადგილას.

### **მუხლი 19. იზოლატორში შესვლის წესი**



1. პირადობის ან/და უფლებამოსილების დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა ყველა კატეგორიის პირთათვის სავალდებულოა.

2. პროკურორი ან/და გამომძიებელი, რომლის უშუალო წარმოებაშიც იმყოფება სისხლის სამართლის საქმე, შესაბამისი წერილობითი მიმართვით დაიშვება მხოლოდ იზოლაციის საგამომძიებო ოთახში საგამომძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებათა საწარმოებლად.

3. იზოლაციის მოსამსახურის მიერ გამოძახებული სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის სამედიცინო მუშაკი დაიშვება მხოლოდ პაციენტის მოთავსების ადგილზე.

4. შესაბამისი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში იზოლაციის უფროსის გადაწყვეტილებით პირი შესაძლებელია დაშვებულ იქნეს იზოლაციაში ეპიდემიის საწინააღმდეგო სამუშაოების ჩასატარებლად.

5. იზოლაციაში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიზნით, იზოლაციის უფროსის გადაწყვეტილებით იზოლაციაში დაიშვებიან სამინისტროს შესაბამის დანაყოფის წარმომადგენლები.

## **მუხლი 20. იზოლაციაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის წესი**

იზოლაციაში ნებართვის გარეშე შესვლის უფლება აქვთ:

ა) მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს პროკურორებს, რომლებიც სპეციალურად არიან უფლებამოსილი, განახორციელონ დაკავების ადგილებში, პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთისა და სხვა დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა უფლებების დაცვაზე ზედამხედველობა;

ბ) საქართველოს სახალხო დამცველს, ასევე სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს სახალხო დამცველის მიერ გაცემული შესაბამისი რწმუნებით;

გ) მინისტრს, დეპარტამენტის კურატორ მინისტრის მოადგილეს, დეპარტამენტის დირექტორსა და მის მოადგილეს;

### **გ<sup>1</sup>) სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) მოსამსახურეებს.**

დ) დეპარტამენტის სამედიცინო მომსახურების სამსახურის მოსამსახურეებს;

ე) დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურის მოსამსახურეებს;

ვ) დეპარტამენტის ადმინისტრაციული მხარდაჭერის სამსახურის მოსამსახურეებს;

ზ) წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის წარმომადგენლებს;

თ) იზოლაციაში დამხმარე ფუნქციის შემსრულებელ მოსამსახურეებს.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 3 თებერვლის ბრძანება №10 - ვებგვერდი, 05.02.2018წ.*

## **მუხლი 21. მოთავსებული პირის მატერიალური პასუხისმგებლობა**

1. მოთავსებული პირი, რომელიც იზოლაციაში ყოფნის პერიოდში მატერიალურ ზიანს მიაყენებს სახელმწიფოს, იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული ოდენობით.

2. მოთავსებული პირის ქმედებით იზოლაციის ტერიტორიაზე პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებისას გადაუდებელი მკურნალობა ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯით. მოთავსებული პირი ანაზღაურებს მკურნალობის ხარჯებს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით თვითდაზიანების ან სხვისთვის დაზიანების მიყენების შემთხვევაში, აგრეთვე იზოლაციისათვის მიყენებულ ზიანს,



შესაბამისი იზოლატორიდან მისი გაქცევის აღკვეთასთან დაკავშირებულ დამატებით ხარჯებს.

3. თუ მოთავსებული პირი ნებაყოფლობით არ აანაზღაურებს ზიანს, აღნიშნული საკითხი განხილული იქნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

## **მუხლი 22. მოთავსებული პირის იზოლატორიდან გათავისუფლების საფუძველები**

1. მოთავსებული პირის იზოლატორიდან გათავისუფლება ხორციელდება:

ა) პროკურორის ან მოსამართლის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას შესაბამისი დოკუმენტის იზოლატორში მიღებისთანავე;

ბ) ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, იზოლატორის უფროსის დადგენილების საფუძველზე;

გ) თუ გავიდა იზოლატორში მოთავსების ვადა, რომელიც აითვლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ შინაგანაწესის მე-3 მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

2. მოთავსებული პირის გათავისუფლებას უზრუნველყოფს იზოლატორის უფროსი, რომელიც გათავისუფლების წინ ამოწმებს გასათავისუფლებელი პირის ვინაობას და შესაბამის დოკუმენტაციას.

3. ბრალდებულის სახით დაკავებული პირი დაუყოვნებლივ გათავისუფლდება იზოლატორის უფროსის შესაბამისი დადგენილებით, თუ დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა მას არ გადაეცა დადგენილება ბრალდების შესახებ, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს გადაეცა ბრალდების შესახებ დადგენილება, მაგრამ მისი დაკავებიდან 72 საათის განმავლობაში სასამართლოს მიერ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ.

## **თავი III**

### **მოთავსებული პირის უფლება-მოვალეობანი**

## **მუხლი 23. მოთავსებული პირის უფლებები**

1. მოთავსებულ პირს უფლება აქვს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფილ იქნეს:

ა.ა) სპეციალური საცხოვრებლით (საკნით), კვებით, პირადი ჰიგიენით, ტანსაცმლითა და პირადი უსაფრთხოებით;

ა.ბ) სამედიცინო მომსახურებით;

ა.გ) ადვოკატთან, დიპლომატიური წარმომადგენლობის, საკონსულო დაწესებულების და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებთან (უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის) შეხვედრით;

ა.დ) ამანათის მიღებით;

ა.ე) უფასო იურიდიული დახმარებით და სამართლებრივი კონსულტაციით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) შეიტანოს განცხადება ან/და საჩივარი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს იზოლატორის მოსამსახურეთა და სხვა მოთავსებულ პირთა მხრიდან არადისკრიმინაციული მოპყრობით;

დ) დაცულ იქნეს სხვა მოთავსებულ პირთა მხრიდან ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან;



- ე) შეინახოს და გამოიყენოს შინაგანაწესის №1 დანართით გათვალისწინებული ნივთები;
- ვ) მისთვის გასაგები ფორმით და გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია უფლება-მოვალეობების შესახებ;
- ზ) საქართველოს სახელმწიფო ენის არცოდნის შემთხვევაში ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით;
- თ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

2. მოთავსებულ პირს აქვს ჰუმანური მოპყრობის უფლება. მის მიმართ გამოყენებული შეზღუდვები არ უნდა იყოს იმაზე უფრო მკაცრი, რაც საჭიროა იზოლატორში მოთავსებული პირის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა და ქონების დაზიანების თავიდან აცილების, იზოლატორში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის, მოთავსებული პირის მიერ მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, თავდასხმის მოგერიების, ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის, გაქცევის ან სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელშეშლის მცდელობის თავიდან ასაცილებლად.

3. იზოლატორში მოთავსებულ უცხოელ მოქალაქეს უფლება აქვს, კონტაქტი დაამყაროს მისი მოქალაქეობის სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობასთან და შეუზღუდავად შეხვდეს მათ. იმ შემთხვევაში, თუ მოთავსებული პირის მოქალაქეობის სახელმწიფოს არ გააჩნია არც დიპლომატიური და არც საკონსულო წარმომადგენლობა საქართველოს ტერიტორიაზე, ან თუ მას არ აქვს არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა, ან ლტოლვილია, მაშინ ასეთ პირს უნდა ჰქონდეს უფლება, კონტაქტი დაამყაროს იმ სახელმწიფოს წარმომადგენლობასთან, რომელიც თავის თავზე აიღებს მისი ინტერესების დაცვას ან იმ ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანოსთან, რომლის ამოცანაა ასეთი კატეგორიის პირთა დაცვა.

4. მოთავსებულ პირს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მიიღოს ცნობები ახლო ნათესავის გარდაცვალების ან მძიმე ავადმყოფობის შესახებ, თუ აღნიშნული ინფორმაცია ცნობილი გახდა იზოლატორის მოსამსახურისათვის.

5. მოთავსებულ პირს აქვს იზოლატორში რელიგიური რიტუალების შესრულების უფლება, თუ აღნიშნული არ ლახავს სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

6. განცხადებების, საჩივრების და სხვა სახის მიმართვების შესადგენად მოთავსებული პირი მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საჭირო საშუალებათა აუცილებელი რაოდენობით, მათ შორის ქალადით, კონვერტებით კონფიდენციალური საჩივრებისათვის, საწერი საშუალებებით და სხვა.

7. იზოლატორს ეკრძალება, შეაჩეროს ან შეამოწმოს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პარლამენტის წევრის, სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, იმ საერთაშორისო ორგანიზაციის, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, საქართველოს სამინისტროს, დეპარტამენტის, საქართველოს სახალხო დამცველის, ადვოკატის, პროკურორის სახელზე გაგზავნილი მოთავსებული პირის განცხადება და საჩივარი, აგრეთვე ასეთი პირებისაგან მიღებული წერილები.

8. მოთავსებული პირი სამინისტროს გენერალური ინსპექციის ან/და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე დასაკავშირებლად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ტელეფონით. თუ პირი ისარგებლობს ცხელ ხაზზე დაკავშირების უფლებით, იზოლატორის მოსამსახურემ უნდა უზრუნველყოს საუბრის კონფიდენციალობის დაცვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 24 ივლისის ბრძანება №394 - ვებგვერდი, 24.07.2017წ.

## **მუხლი 24. მოთავსებული პირის მოვალეობა**

მოთავსებული პირი ვალდებულია:

- ა) დაიცვას იზოლატორში არსებული დღის განრიგი;



- ბ) შეასრულოს იზოლატორის მოსამსახურეთა კანონიერი მოთხოვნები;
- გ) იყოს თავაზიანი იზოლატორის მოსამსახურეებისა და იქ მყოფი სხვა პირების მიმართ;
- დ) გაუფრთხილდეს იზოლატორის ინვენტარს, მოწყობილობას და სხვა ქონებას;
- ე) დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო წესები;
- ვ) საკნიდან გადაადგილების შემთხვევაში ხელები ჰქონდეს ზურგს უკან;
- ზ) გაუფრთხილდეს და არ დააზიანოს იზოლატორის ან სხვა პირის ქონება;
- თ) დაიცვას პირადი ჰიგიენა, სუფთად იქონიოს ტანსაცმელი, საწოლი და საცხოვრებელი ადგილი;
- ი) შეინახოს საკვები პროდუქტები და ინდივიდუალური მოხმარების საგნები ამისათვის გამოყოფილ ადგილებში;
- კ) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

## **მუხლი 25. იზოლატორში არსებული აკრძალვები**

1. იზოლატორში მოთავსებულ პირს ეკრძალება:

- ა) ხმაური, რომელიც არღვევს წესრიგს და ხელს უშლის იზოლატორის ნორმალურ ფუნქციონირებას;
- ბ) საკნიდან საკანში ან იზოლატორის გარეთ ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიწოდება;
- გ) სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ნივთების დამზადება, შენახვა ან/და გამოყენება;
- დ) საგნის გადაგდება ფანჯრიდან ან/და ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც ხელს უშლის იზოლატორის მოსამსახურის საკანში შეხედვას ან შესვლას;
- ე) აღნიშვნის ან წარწერის გაკეთება კედელზე, წიგნზე, ნივთზე ან საგანზე, რომელიც გადაცემულია იზოლატორის მოსამსახურის მიერ, კედელზე სურათების, ნახატების, წიგნებიდან და ჟურნალებიდან ამონაჭრების გაკვრა;
- ვ) აზარტული თამაშობების მოწყობა ან/და მასში მონაწილეობა;
- ზ) სხეულის დაზიანება, საკუთარ ან სხვის სხეულზე სვირინგის გაკეთება;
- თ) თამბაქოს მოწევა საკნის გარეთ იზოლატორის ტერიტორიაზე (გარდა გასასეირნებელი ადგილისა);
- ი) მოთავსებულ ან სხვა პირზე ფიზიკური ზემოქმედება ან/და მისი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა;
- კ) კონფლიქტური სიტუაციის შექმნა;
- ლ) სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება ან სხვაგვარი ფორმით იზოლატორის მოსამსახურის ან სხვა პირის ღირსების შელახვა.

2. მოთავსებულ პირებს ეკრძალებათ, იზოლატორში იქონიონ ნებისმიერი ნივთი, რომელიც არ არის გათვალისწინებული შინაგანაწესის №1 დანართით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 24 ივლისის ბრძანება №394 - ვებგვერდი, 24.07.2017წ.





## მუხლი 26. საცხოვრებელი პირობები

1. იზოლატორში არსებული საცხოვრებელი პირობები უნდა შეესაბამებოდეს სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს, უზრუნველყოფდეს მოთავსებული პირის უსაფრთხოებას და ჯანმრთელობის შენარჩუნებას, არ უნდა ხელყოფდეს მოთავსებული პირის პატივსა და ღირსებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.
2. მოთავსებულ პირზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა იზოლატორში არ უნდა იყოს 4 კვ.მ-ზე ნაკლები.
3. მოთავსებული პირის საკანს უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას. საკანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუნებრივი ან/და ხელოვნური ვენტილაციით და გათბობით.
4. მოთავსებულ პირს პირად სარგებლობაში უნდა ჰქონდეს ჯანმრთელობისა და ნორმალური საძილე პირობების მოთხოვნების შესაბამისი საწოლი, ლეიბი და პლედი, რომლებიც მას უნდა გადაეცეს სუფთა და დაუზიანებელი. ადმინისტრაციულპატიმრობაშეფარდებული პირი დამატებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თეთრეულით. საჭიროების შემთხვევაში იზოლატორის უფროსის დასაბუთებული გადაწყვეტილებით თეთრეული შეიძლება გადაეცეს იზოლატორში სხვა საფუძვლით მოთავსებულ პირსაც.

## მუხლი 27. მოთავსებული პირის პირადი ჰიგიენა

1. მოთავსებულ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნები და დაიცვას პირადი ჰიგიენა პატივისა და ღირსების შეუღახავად.
2. მოთავსებული პირი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჰიგიენის დაცვისათვის საჭირო შემდეგი ჰიგიენური საშუალებებით, როგორცაა ჰიგიენური ქაღალდი, საპონი, კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა, პირსახოცი, აგრეთვე მათი განთავსების (გადაყრის) შესაძლებლობით. ადმინისტრაციულპატიმრობაშეფარდებული პირი დამატებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საპარსი საშუალებით, ხოლო იზოლატორში მოთავსებული ქალები გენდერსპეციფიკური საჭიროებებიდან გამომდინარე – სხვა დამატებითი ჰიგიენური საშუალებებით.
3. პირი, რომელსაც სასამართლომ ადმინისტრაციული სახდელის ზომად განუსაზღვრა ადმინისტრაციული პატიმრობა ერთ დღე-ღამეზე მეტი ვადით, კვირაში ორჯერ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი შხაპის მიღების შესაძლებლობით. საჭიროების შემთხვევაში, შხაპის მიღების უფლებით, იზოლატორის უფროსის გადაწყვეტილებით და დამკავებელი ორგანოს თანხმობით შესაძლებელია ისარგებლოს სხვა მოთავსებულმა პირმაც.
4. შხაპის მიღების უფლებით ვერ ისარგებლებს ის პირი, რომლისთვისაც სამედიცინო მუშაკის დასკვნის საფუძველზე შხაპის მიღება არ არის რეკომენდებული.
5. შხაპის მიღების უფლებით მოთავსებული პირები იზოლატორში სარგებლობენ მხოლოდ დღის საათებში. ღამის საათებში შხაპის მიღების უფლებით სარგებლობა დასაშვებია, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, იზოლატორის უფროსის ან მისი არყოფნის შემთხვევაში – იზოლატორის ცვლის უფროსის გადაწყვეტილებით.
6. დაუშვებელია შხაპის მისაღებად ერთდროულად რამდენიმე მოთავსებული პირის გაყვანა.
7. მოთავსებულ პირს შხაპის მიღებაზე უარი შეიძლება ეთქვას იზოლატორის უფროსის გადაწყვეტილებით იმ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე შეიძლება შეექმნას იზოლატორის უსაფრთხოებას და გამართულ ფუნქციონირებას.

## მუხლი 28. მოთავსებულ პირთა კვება

1. იზოლატორში მოთავსებულ პირთათვის განკუთვნილი საკვები უნდა შეიცავდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელ კომპონენტებს. აკრძალულია მოთავსებული პირის დასჯის მიზნით საჭმლის კალორიულობის შემცირება.



2. მოთავსებული პირის კვების ნორმები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.
3. მოთავსებული პირი ყოველდღიურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამჯერადი კვებით.
4. ავადმყოფებს, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, არასრულწლოვნებს უნდა შეექმნას მათი მდგომარეობის შესაბამისი კვების პირობები.
5. მოთავსებულ პირს შეუზღუდავი რაოდენობით უნდა ჰქონდეს სუფთა სასმელი წყალი.
6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მომხმობილე პირთა ყოფნის პირობების შესახებ ინსტრუქცია მტკიცდება მინისტრის სამართლებრივი აქტით.

## თავი IV

### საჩივარი

#### მუხლი 29. საჩივრის შეტანის უფლება

1. საჩივრის შეტანის საფუძველია იზოლატორის მოსამსახურის ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), გადაწყვეტილება ან/და მოთავსებულ პირთა უფლებების სხვაგვარი ხელყოფა.
2. მოთავსებულ პირს უფლება აქვს, საჩივარი შეიტანოს ინდივიდუალურად ან სხვა მოთავსებულ პირებთან ერთად. საჩივრის შეტანა შესაძლებელია წერილობითი ფორმით.
3. საჩივრის შეტანის უფლება აგრეთვე აქვს მოთავსებული პირის ადვოკატს, კანონიერ წარმომადგენელს ან ახლო ნათესავს, თუ:
  - ა) მას აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაირღვა მოთავსებული პირის უფლებები;
  - ბ) მოთავსებულ პირს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს საშუალებას, თავად შეიტანოს საჩივარი.
4. მოთავსებულ პირს უფლება აქვს, საჩივრით მიმართოს დეპარტამენტის დირექტორს, თუ საჩივარი უკავშირდება იზოლატორის მოსამსახურის საქმიანობას.
5. მოთავსებულ პირს უფლება აქვს, საჩივრით მიმართოს მინისტრს, თუ საჩივარი უკავშირდება დეპარტამენტის დირექტორის საქმიანობას.
6. დაუშვებელია საჩივრის გადაწყვეტაში იმ პირის მონაწილეობა, რომლის ქმედება ან გადაწყვეტილება საჩივრდება.
7. მოთავსებულ პირს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მიმართოს საჩივრით საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს, აგრეთვე სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.
8. მოთავსებულ პირს უფლება აქვს, შეიტანოს კონფიდენციალური საჩივარი. კონფიდენციალურია საჩივარი, რომელიც მოთავსებულია დალუქულ კონვერტში და რომელზედაც მითითებულია ადრესატი.

#### მუხლი 30. საჩივრის გადაგზავნის წესი და განხილვის ვადები

1. იზოლატორი ვალდებულია, შემოსული საჩივარი დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს ადრესატს. თუ საჩივარი შემოსულია არასამუშაო დღეს, იზოლატორი ვალდებულია, საჩივარი გადაუგზავნოს ადრესატს მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.
2. დეპარტამენტის დირექტორი/მინისტრი საჩივარს განიხილავს მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
3. წამებასთან, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრები



განხილული უნდა იქნეს დაუყოვნებლივ. წამებასთან, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს.

### **მუხლი 31. საჩივრის განხილვის შედეგები**

1. საჩივრის განხილვის შედეგად დეპარტმენტის დირექტორი/მინისტრი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ა) საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
- ბ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;
- გ) საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

2. საჩივრის განხილვის შედეგები მოთავსებულ პირს ეცნობება დაუყოვნებლივ, რასაც ადასტურებს ხელმოწერით და დაერთვება მოთავსებული პირის პირად საქმეს.

3. საჩივარში მითითებულ ყოველ კონკრეტულ მოთხოვნას უნდა გაეცეს დასაბუთებული პასუხი.

4. მოთავსებულ პირს უფლება აქვს, საჩივრის განხილვის შედეგები გაასაჩივროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **თავი V**

### **ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებული დამატებითი წესები**

#### **მუხლი 32. გასეირნების უფლება**

1. სუფთა ჰაერზე გასეირნება ხორციელდება მხოლოდ იმ პირთათვის, რომელთაც სასამართლომ ადმინისტრაციული სახდელის ზომად განუსაზღვრა ადმინისტრაციული პატიმრობა ერთ დღე-ღამეზე მეტი ვადით. გასეირნება არ გამოიყენება იმ ადმინისტრაციულპატიმრობაშეფარდებული პირის მიმართ, რომლისთვისაც სამედიცინო მუშაკის დასკვნის შესაბამისად გასეირნება არ არის რეკომენდებული.

2. გასასეირნებლად გაყვანა ხორციელდება 10.00 საათიდან 18.00 საათამდე პერიოდში, იზოლატორის უფროსის მიერ შედგენილი გრაფიკით. გასეირნების ხანგრძლივობა განისაზღვრება არანაკლებ 1 საათით.

3. შესაძლებელია, გასასეირნებლად ერთდროულად გაყვანილ იქნეს არაუმეტეს 3 მოთავსებული პირი, რომლებიც ერთი და იმავე სამართალდარღვევის ჩადენისთვის არ იხდიან ადმინისტრაციულ პატიმრობას.

4. იზოლატორის ტერიტორიაზე მოთავსებული პირის გასასეირნებლად გამოიყენება სპეციალური ეზოები. ვიზუალურ კონტროლს მოთავსებული პირის გასეირნების პროცესზე ახორციელებს იზოლატორის უფროსის მიერ განსაზღვრული იზოლატორის მოსამსახურე.

5. მოთავსებული პირის გასეირნების უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფის კონტროლს ახორციელებს იზოლატორის უფროსი. არასასურველი მეტეოროლოგიური პირობების, მოთავსებული პირის მიერ შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნის დარღვევის, აგრეთვე სხვა განსაკუთრებული შემთხვევების დროს, იზოლატორის უფროსის გადაწყვეტილებით მოთავსებულ პირს შესაძლებელია შეეზღუდოს გასეირნების უფლებით სარგებლობა. აღნიშნულის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც მიეთითება შეზღუდვის დაწესების მიზეზები. ამ მიზეზის აღმოფხვრის შემთხვევაში მოთავსებული პირი გაყვანილი უნდა იქნეს სასეირნოდ.

6. იზოლატორში, რომელშიც არ არის მოწყობილი სპეციალური გასასეირნებელი ეზო, გასეირნება ხორციელდება, როგორც წესი, ბადრაგის ან სამინისტროს სხვა მოსამსახურის თანხლების გარეშე,



სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს იმ რაიონული ან საქალაქო დანაყოფის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელშიც განთავსებულია აღნიშნული იზოლატორი. აღნიშნულ ტერიტორიაზე გასეირნებისას მოთავსებულ პირზე ხორციელდება ვიზუალური მეთვალყურეობა. გასეირნებამდე იზოლატორის უფროსი წერილობით აფრთხილებს მოთავსებულ პირს, რომ მას გაქცევის შემთხვევაში დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. სამინისტროს შესაბამის მოსამსახურეს ზემოაღნიშნული ინციდენტების შემთხვევაში პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

7. მოთავსებულ პირს გასეირნების დროს ეკრძალება სხვა პირთან საუბარი, არაეთიკური ქცევა, რაიმე საგნის და ნივთის მიღება ან გაცემა. აღნიშნული ფაქტის გამოვლენისას მოთავსებულ პირს, მისი პატიმრობის ვადის ამოწურვამდე შეეზღუდება გასეირნების უფლება.

### **მუხლი 33. გარესამყაროსთან კომუნიკაციის უფლება**

1. პირს, რომელსაც სასამართლომ ადმინისტრაციული სახდელის ზომად განუსაზღვრა ადმინისტრაციული პატიმრობა არანაკლებ 7 დღის ვადით, აქვს ახლო ნათესავებთან ორი შეხვედრის უფლება ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის განმავლობაში.

2. შეხვედრის შესახებ არანაკლებ 2 დღით ადრე წერილობითი განცხადებით უნდა ეცნობოს იზოლატორის უფროსს. შეხვედრის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით მოთავსებულ პირთან შეხვედრის მსურველმა პირმა იზოლატორის უფროსს უნდა წარუდგინოს ახლო ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პასპორტი, მოქალაქის პირადობის, მართვის, ქორწინების, დაბადების მოწმობები ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა საბუთები) ან იზოლატორში მოხვედრამდე 1 წლის განმავლობაში ურთიერთთანაცხოვრების და საერთო მეურნეობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, სხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ან/და სანოტარო წესით დამოწმებული შესაბამისი დოკუმენტი). კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, იზოლატორის უფროსი უფლებამოსილია, განცხადება მიიღოს 2-დღიანი ვადის დაუცველად. შეხვედრის ორგანიზებისათვის აუცილებელია, მოთავსებულმა პირმა განაცხადოს თანხმობა წერილობით განცხადებაში მითითებულ პირებთან შეხვედრაზე.

3. შეხვედრის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს ერთ საათზე ნაკლები. შეხვედრის ხანგრძლივობა იზოლატორის მიერ შეიძლება შემცირდეს შეხვედრებზე მყოფი პირების მოთხოვნით. შეხვედრა მიმდინარეობს მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობის ქვეშ ხმის მოსმენის გარეშე. მოთავსებული პირი შეიძლება ერთდროულად შეხვდეს არაუმეტეს 2 სრულწლოვან პირს, რომელთაც შეიძლება ახლდნენ შეხვედრის უფლების მქონე არასრულწლოვნებიც.

4. შეხვედრის უფლებით სარგებლობაზე უარი უნდა იყოს დასაბუთებული და შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ მოთავსებული პირის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ან/და იზოლატორში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზანს.

5. ახლო ნათესავებთან შეხვედრის უფლება ადმინისტრაციულპატიმრობაშეფარდებული პირის წერილობითი თხოვნის საფუძველზე შესაძლოა შეიცვალოს სატელეფონო საუბრით.

6. პირს, რომელსაც სასამართლომ ადმინისტრაციული სახდელის ზომად განუსაზღვრა ადმინისტრაციული პატიმრობა არანაკლებ 7 დღის ვადით, უფლება აქვს, ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის განმავლობაში საქართველოს ფარგლებში განახორციელოს ორი სატელეფონო საუბარი, თითოეული 10 წუთის ხანგრძლივობით.

7. პირს, რომელსაც სასამართლომ ადმინისტრაციული სახდელის ზომად განუსაზღვრა ადმინისტრაციული პატიმრობა არანაკლებ 7 დღის ვადით, იზოლატორში შეყვანისას უნდა განემარტოს შეხვედრის და სატელეფონო საუბრით სარგებლობის უფლების შესახებ, რის შესახებაც დგება ოქმი, რასაც ადმინისტრაციულპატიმრობაშეფარდებული პირი ადასტურებს ხელმოწერით. თუ იზოლატორიდან გათავისუფლებამდე აღნიშნული პირი არ ისარგებლებს შეთავაზებული უფლებებით, იზოლატორის მოსამსახურე ვალდებულია, ამის თაობაზე შეადგინოს შესაბამისი ოქმი პირის იზოლატორიდან გათავისუფლებისას, რასაც ხელმოწერით ადასტურებს აღნიშნული პირი.

8. შეხვედრის ან/და სატელეფონო საუბრის უფლებით სარგებლობისას იზოლატორის მოსამსახურის მიერ უნდა შედგეს შესაბამისი ოქმი. ახლო ნათესავთან შეხვედრის შემთხვევაში შედგენილ ოქმში უნდა



მიეთითოს შეხვედრაში მონაწილე პირთა ვინაობა, მათი დამოკიდებულება იზოლატორში მოთავსებული პირის მიმართ, შეხვედრის დაწყებისა და დასრულების ზუსტი დრო. სატელეფონო საუბრის შესახებ იზოლატორის მოსამსახურის მიერ შედგენილ ოქმში უნდა მიეთითოს, რა ნომრიდან რა ნომერზე განხორციელდა ზარი, ასევე საუბრის დაწყებისა და დასრულების ზუსტი დრო. ორივე შემთხვევაში ოქმში დაფიქსირებული უნდა იქნეს მოთავსებული პირის ხელმოწერა.

9. ადმინისტრაციულპატიმრობაშეფარდებულ პირს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით გამოიწეროს ან/და მიიღოს გონივრული ოდენობის სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, რელიგიური და მხატვრული ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, გარდა იმ წიგნებისა და ჟურნალ/გაზეთებისა, რომლებიც შეიცავენ შემდეგ შინაარსს: პორნოგრაფიას, მშენებლობის ინსტრუქციებს, ცეცხლსასროლი იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების აწყობის ინსტრუქციებს, მასალებს, რომლებიც მოიცავს რასობრივ, რელიგიურ და ეროვნულ სიძულვილს, სხვა მასალებს, რომლებიც შესაძლებელია საფრთხეს უქმნიდეს მოთავსებული პირის უსაფრთხოებას.

10. ადმინისტრაციულპატიმრობაშეფარდებულ პირს უფლება აქვს, შეხვდეს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის ან/და ტრადიციული კონფესიების წარმომადგენელს, რომელიც იზოლატორში დაიშვება მხოლოდ შესაბამისი ორგანიზაციის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, იზოლატორის უფროსის გადაწყვეტილებით. წერილობით მიმართვაში მითითებული უნდა იქნეს ორგანიზაციის დასახელება, წარმომადგენლის ვინაობა, ვიზიტის მიზანი და სავარაუდო ხანგრძლივობა. შეხვედრის ორგანიზებისათვის აუცილებელია, მოთავსებულმა პირმა განაცხადოს თანხმობა წერილობით მიმართვაში მითითებულ პირთან შეხვედრაზე.

11. ადმინისტრაციულპატიმრობაშეფარდებულ პირს უფლება აქვს, შეხვდეს თავის წარმომადგენელს, თუ წარმომადგენლობა დასტურდება მინდობილობით.

12. თუ მიღებულია სარწმუნო ცნობა ადმინისტრაციულპატიმრობაშეფარდებული პირის ახლო ნათესავის გარდაცვალების ან ავადმყოფობის თაობაზე, იგი შესაძლებელია დროებით გაყვანილ იქნეს იზოლატორიდან დეპარტამენტის დირექტორის წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე.

### **მუხლი 34. კორესპონდენციის გაგზავნა/მიღება**

ადმინისტრაციულპატიმრობაშეფარდებულ პირს უფლება აქვს, შეუზღუდავი რაოდენობით გააგზავნოს და მიიღოს წერილები. დახურული კონვერტით მიღებული კორესპონდენცია უნდა გაიხსნას მისი თანდასწრებით. ადმინისტრაციულპატიმრობაშეფარდებული პირის კორესპონდენცია ექვემდებარება შემოწმებას, რაც მოიცავს ვიზუალურ დათვალიერებას კორესპონდენციის შინაარსის გაცნობის გარეშე. ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, დასაბუთებული ვარაუდისას, თუ შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, იზოლატორის უფროსი უფლებამოსილია, გაეცნოს კორესპონდენციის შინაარსს და საჭიროებისამებრ შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა, რის თაობაზეც დაუყოვნებლივ ეცნობება კორესპონდენციის გამგზავნს.

### **მუხლი 35. განათლების უფლება**

1. ადმინისტრაციულპატიმრობაშეფარდებულ პირს აქვს უფლება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დარეგისტრირდეს აბიტურიენტად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღების თაობაზე წერილობითი განცხადების წარდგენის გზით. იზოლატორის მოსამსახურემ უნდა უზრუნველყოს პიროვნება საჭირო საწერი საშუალებებით და შემდგომ განახორციელოს განცხადების ადრესატთან გადაგზავნა.

2. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დღეს ადმინისტრაციულპატიმრობაშეფარდებული აბიტურიენტი დეპარტამენტის დირექტორის წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე გადაყვანილი უნდა იქნეს შესაბამის საგამოცდო ცენტრში.

3. ადმინისტრაციულპატიმრობაშეფარდებულ პირს უნდა შეექმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ არ



ჩამორჩეს ზოგადი განათლების პროგრამას. დაუშვებელია ადმინისტრაციულპატიმრობაშეფარდებული პირისათვის სასკოლო სახელმძღვანელოებისა და ნივთების მიღების შეზღუდვა, თუ არ არსებობს უსაფრთხოების დაცვის გადაუდებელი ინტერესი.

## შინაგანაწესის დანართი №1

**ჩამონათვალი იმ პირველადი მოხმარების საგნების, ჰიგიენური საშუალებების, კვების პროდუქტებისა და სხვა ნივთებისა და საგნებისა, რომლებიც მოთავსებულ პირს უფლება აქვს ამანათის სახით მიიღოს, შეინახოს და გამოიყენოს კანონიერად**

1. შემდეგი კვების პროდუქტები: ყველა სახეობის ხილი და ბოსტნეული, კენკროვანი ხილის, ყურძნის, ნესვის და საზამთროს გარდა (ერთდროულად ერთობლიობაში არაუმეტეს 3 კილოგრამისა), ყველი, ძეხვეული, ხილფაფა, კანფეტი, ჯემი, ბოსტნეული, ხილი, პურ-ფუნთუშეული, ხორცეული (ძვლის გარეშე), თევზი (ფხის გარეშე), საწებელი, თაფლი ქარხნული წესით დამუშავებული, შუშის ქილის გარეშე (ერთდროულად არაუმეტეს ნახევარი კილოგრამისა).
2. სასმელი (ქარხნული წესით დალუქული მინერალური წყლები და უალკოჰოლო გაზიანი სასმელები შეფერილობის გარეშე), ერთდროულად არაუმეტეს 3 ლიტრისა, შუშის ქილის გარეშე.
3. სეზონური ტანსაცმელი: მუქი ფერის გრძელი შარვალი („ბრიჯის“ და „შორტის“ გარდა) არაუმეტეს 1 ცალისა, ქურთუკი სარჩულის გარეშე (ყველა სახის ქურქის, „დუტის“ და ტყავის გარდა) არაუმეტეს 1 ცალისა, სეზონური მაისური და სვიტერი (თავსაფრის გარეშე), ერთდროულად არაუმეტეს 1 ცალისა, ნაქსოვი ქუდი (კეპის გარეშე), ერთდროულად არა უმეტეს 1 ცალისა, პერანგი, ერთდროულად არაუმეტეს 1 ცალისა, სეზონური თხელძირიანი ფეხსაცმელი ზონარის გარეშე („ჩუსტი“, „კედი“, „ბოტასი“) ერთდროულად არაუმეტეს 1 ცალისა, სპორტული ტანსაცმელი (თავსაფრის, ზონარისა და სარჩულის გარეშე), ერთდროულად არაუმეტეს 1 კომპლექტაციისა.
4. საცვალი არა უმეტეს 1 ცალისა და წინდა (სეზონური), ერთდროულად არაუმეტეს 1 წყვილისა.
5. პირსახოცი, ერთდროულად არა უმეტეს 1 ცალისა (ღია ფერის მოთეთრო, ზომით არაუმეტეს 30/40) და ცხვირსახოცი, ერთდროულად არაუმეტეს 2 ცალისა.
6. კბილის ჯაგრისი, ბამბა და არამეტალის სავარცხელი, ერთდროულად არაუმეტეს 1 ცალისა.
7. სათვალე (ოპტიკური არამედიკალური მეტალის ან პლასტმასის ჩარჩოთი), ერთდროულად არაუმეტეს 1 ცალისა.
8. ყავარჯნები, ხის ტროსტები, პროტეზები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ეტლები (სამედიცინო მუშაკის ნებართვით) საჭიროების შემთხვევაში.
9. სიგარეტი არაუმეტეს 6 კოლოფისა.
10. რელიგიური ან/და საკულტო დანიშნულების მქონე, არამეტალისაგან დამზადებული მცირე ზომის ნივთები, საკიდის გარეშე.
11. ადმინისტრაციულპატიმრობაშეფარდებულ პირს დამატებით შესაძლებლობა აქვს, ამანათის სახით მიიღოს, შეინახოს და გამოიყენოს შემდეგი საგნები:
  - ა) საწოლის ნივთები (ლოგინის თეთრეული ღია ფერის, მოთეთრო – საბნის პირი, ბალიშის პირი, ზეწარი) ერთდროულად არაუმეტეს 1 კომპლექტაციისა;
  - ბ) რვეული, ერთდროულად არაუმეტეს 1 ცალისა, რომლის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 21/30 სმ-ს;
  - გ) არამეტალის უბრალო ფანქარი და პლასტმასის ავტოკალამი, ერთდროულად არაუმეტეს 2 ცალისა;
  - დ) ფოტოსურათი, ერთდროულად არაუმეტეს 2 ცალისა, ზომით არა უმეტეს 9/13 სმ-ისა;
  - ე) არამეტალის საკულტო საგანი, ერთდროულად არა უმეტეს 2 ცალისა;



ვ) წიგნი (წიგნის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 21/30 სმ-ს. პირმა ერთდროულად შეიძლება იქონიოს არა უმეტეს 3 წიგნისა, გარდა იმ წიგნებისა, რომლებიც შეიცავენ შემდეგ შინაარსს: პორნოგრაფიას; მშენებლობის ინსტრუქციებს; ცეცხლსასროლი იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების აწყობის ინსტრუქციებს; მასალებს, რომლებიც მოიცავს რასობრივ, რელიგიურ და ეროვნულ სიძულვილს; სხვა მასალებს, რომლებიც შესაძლებელია საფრთხეს უქმნიდეს მოთავსებულ პირთა უსაფრთხოებას);

ზ) საცვალის არაუმეტეს 2 ცალისა და წინდა (სეზონური), ერთდროულად არაუმეტეს 2 წყვილისა.

## შინაგანაწესის დანართი №2

**ჩამონათვალი იმ კვების პროდუქტების, ნივთების, ნაკეთობების, ნივთიერებების და დოკუმენტებისა, რომელთა იზოლაციაში შეტანაც აკრძალულია მოთავსებულ პირთან შეხვედრაზე შემსვლელი პირებისათვის**

1. სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნები, ნივთები და ნივთიერებები;
2. ცივი იარაღის ყველა სახეობა;
3. ქიმიკატები, ფეთქებადი, მომწამვლელი და ცეცხლსაშიში ნივთიერებები;
4. ფული (ნებისმიერი სახის ფულადი ვალუტა), ფასიანი ქაღალდები და საკრედიტო ბარათები;
5. ოპტიკური ხელსაწყოები;
6. სათვალეები (გარდა ოპტიკურისა);
7. საკვები და ყველა სახეობის სასმელი პროდუქტი;
8. სუნამოები, ოდეკოლონები და სხვა სპირტზე დამზადებული ნივთიერებები;
9. გადასამრავლებელი აპარატები;
10. დანები, სხვა ბასრი და მჩხვლეტავი საგნები, მათ შორის, კუსტარულად დამზადებული ან/და დაშლილი ან/და გადაკეთებული ერთჯერადი სამართებელი, მინისაგან დამზადებული ნივთები;
11. ნაჯახები, ჩაქუჩები და სხვა ინსტრუმენტები;
12. ხელჯოხები (გარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა);
13. ბანქო;
14. ფოტოაპარატები, ფოტომასალები, აუდიო-ვიდეო და ფიქსაციის სხვა საშუალებები;
15. მობილური ტელეფონები (მათ შორის, მობილური ტელეფონის დამტენი, სიმბარათი და აქსესუარები);
16. კომპასები;
17. დაუდგენელი ნიმუშის სამხედრო და სხვა ფორმის ტანსაცმელი და ამ სახეობის ტანსაცმელს მიკუთვნებული ზედა სამოსი და ფეხსაცმელი, ქუდები, თავსაბურავები, ხელთათმანები;
18. საღებავები და კოპირების ქაღალდები.

